შემსწავლელის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

ერთიანი

A2+

ენის საფუძვლის
გაძლიერებული დონე

www.geofl.ge

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

„აღმართი“ A2+ (ენის საფუძვლის გაძლიერებული დონე) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც უკვე ფლობენ ქართული ენის ელემენტარულ დონეს. ენის A2+ დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: ინსტრუქციის შემცველი და მოკლე საინფორმაციო ტექსტების, ტელე- და რადიოგადაცემების, ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის მთავარი არსის გაგება, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს; ინფორმაციის გაცვლა; საუბრის დაწყება და მასში უფრო აქტიური მონაწილეობა; საკუთარი მოსაზრებების მარტივად დასაბუთება მისთვის ნაცნობ ან საინტერესო საკითხზე; მარტივი სიტყვებით საუბარი საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე, პირად გამოცდილებაზე, თავისი ქვეყნისა და ხალხის ზნე-ჩვეულებებზე; ზეპირად თუ წერილობით ახსნა იმისა, რა მოსწონს ან არ მოსწონს; ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრისა თუ რაიმე ინსტრუქციის წერილობით ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის A2+ დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია „ანასეულის“ მიერ.

www.geofl.ge

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2017

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა I

დამზადებულია საქართველოში

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
მოკლე საინფორმაციო ტექსტის დეტალურად გაგება.

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია სუპერმარკეტის ფლაიერის საინფორმაციო ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება;
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (საკვების შემადგენლობა, დამზადების თარიღი, ვადა...).

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია გადმოსცეს და მარტივად დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები მისთვის ნაცნობ ან საინტერესო საკითხზე.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია ვებგვერდზე / სოციალურ ქსელებში განთავსებულ საინტერესო განცხადებაზე რეაგირება, დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა.

გრამატიკა / ლექსიკა

- ა- აფიქსის ფუნქცია -ებს დაბოლოების მქონე აქტიურ ზმნებთან;
- -დ სუფიქსის ფუნქცია ვნებითი გვარის ზმნებთან;
- დანიშნულების სახელები;
- წარსული დროის მიმღეობა;
- „მიერ“ თანდებული.

პროდუქტთან დაკავშირებული ლექსიკა;
ექსპორტი;
იმპორტი;
ეტიკეტის წაკითხვა.

ბლოკი 1 – ეროვნული პროდუქტი
ბლოკი 2 – ქართული ექსპორტი
ბლოკი 3 – აგროჰაბი
ბლოკი 4 – პროდუქტის ეტიკეტი

ბლოკი 1

ეროვნული პროდუქტი

1 **მიუსადაგეთ ერთმანეთს:**

ქვეყანა აწარმოებს საკუთარ პროდუქტს	ეროვნულ პროდუქტს ქმნის
ექსპორტი	სხვა ქვეყნისგან პროდუქტის ყიდვა და შემოტანა
იმპორტი	ეროვნული პროდუქტის გაყიდვა საზღვარგარეთ

2 **ა. რატომ არის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული პროდუქტის წარმოება? ჩამოწერეთ პუნქტებად:**

ბ. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და ჩამოთვლილი პუნქტები დანომრეთ თანამიმდევრობით:

- ◯ ფული შესდის ადგილობრივ მწარმოებელს;
- ◯ ძლიერდება საქართველოს ეკონომიკა;
- ◯ შემოდის ინვესტიციები;
- ◯ მეტი ფული შედის ბიუჯეტში;
- ◯ ეროვნული ვალუტა ძლიერდება;
- ◯ საქმდება მეტი ადამიანი;
- ◯ ჩნდება ახალი საწარმოები;
- ◯ იზრდება ექსპორტი;
- ◯ ფართოვდება წარმოება;
- ◯ უფრო მეტად ფინანსდება სოციალური პროგრამები.

3 ა. რომელი სიტყვები (სიტყვის ძირი/ფუძე) შეგიძლიათ ამოიცნოთ შემდეგ სიტყვებში? მიუწერეთ თქვენი ვარიანტები:

სიტყვა	სიტყვის ძირი / ფუძე	განსხვავებული ფორმა
მოქალაქე		
ასაქმებს		
აფართოებს		
ძლიერდება		
მწარმოებელი		
ეროვნული		

ბ. მოცემულ სიტყვებში გაუსვით ხაზი ნაცნობ ფუძეებს და შემოხაზეთ აფიქსები.

გ. გადახედეთ დავალება 2.ბ-ში მოცემულ ფრაზებს და შეადარეთ ცხრილში მოცემული სიტყვები: რომელი სიტყვები გვხვდება მოცემული ფორმით, რომელი სიტყვები გვხვდება სხვა ფორმით? ამოწერეთ განსხვავებული სიტყვები ცხრილის მესამე სვეტში.

დ. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (1.1) და მონიშნეთ, რომელი სიტყვები გხვდებათ ცხრილის პირველი სვეტიდან. განსხვავებული ფორმის, მაგრამ იმავე ფუძის მქონე სიტყვები ამოწერეთ მესამე სვეტში.

4 ა. 3.ა დავალებაში მოცემული ცხრილიდან ამოწერეთ ზმნების პარალელური ფორმები:

ასაქმებს	საქმდება
_____	_____
_____	_____

ბ. შემოხაზეთ და ამოწერეთ ცხრილში საერთო აფიქსები. როგორ ფიქრობთ, რა ფუნქცია აქვს ამ აფიქსებს?

… _ … -ებ-ს	…… -ებ-ა
ასაქმებს	საქმდება
აფართოებს	ფართოვდება
აძლიერებს	ძლიერდება
აწარმოებს	წარმოვდება

გ. იმუშავეთ წყვილებში და ჩამოაყალიბეთ, რა ფუნქცია აქვს ცხრილში მოცემულ აფიქსებს.

დ. შეავსეთ წესი. ჩასვით სწორი ფორმა გამოტოვებულ ადგილებში:

-ებს დაბოლოების მქონე ზმნასთან ა- აფიქსი გამოხატავს მოქმედების შესრულებას .....(სუბიექტის / ობიექტის) მიერ, ხოლო -ება დაბოლოების მქონე ზმნასთან -დ აფიქსი გამოხატავს ..... (პასიურ / აქტიურ) მოქმედებას და მოქმედების ..... (დაწყებას / დამთავრებას).

5 აირჩიეთ თქვენი ან რომელიმე სხვა ქვეყნის ეროვნული წარმოების ერთ-ერთი წარმატებული სფერო და აღწერეთ, რა დადებითი შედეგი მოაქვს ამ სფეროს წარმატებას ქვეყნისა და მისი მოქალაქეებისთვის.

ბლოკი 2

ქართული ექსპორტი

1 **წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:**

10 ქართული პროდუქტი, რომლებიც საზღვრებს გარეთ ყველაზე პოპულარულია

1. ალკოჰოლური სასმელები: ღვინო, ჭაჭა, კონიაკი, ლუდი – 2015 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 33 ქვეყანაში ექსპორტირებულია დაახლოებით 17 მილიონი ბოთლი ღვინო.

2. მინერალური წყლები – ქართული მინერალური წყლები დღეს მსოფლიოს 40 ქვეყანაში იყიდება, თუმცა ყველაზე დიდი მოთხოვნით მაინც დსთ-ს სივრცეში სარგებლობს.

3. თხილი – თუმცა, ქართული თხილი დღეს იყიდება იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში. 2014 წელს საქართველოდან 183 348 მილიონი დოლარის ღირებულების თხილი გავიდა.

4. ჩაი – 2014 წელს საქართველოდან ჩაის ექსპორტმა 8.5 მილიონი დოლარი შეადგინა და ყველაზე დიდი რაოდენობით ჩაი გავიდა მონღოლეთში, თურქეთში, გერმანიასა და რუსეთში.

5. ყველი – ქართული ყველი საერთაშორისო ბაზრებზე შედარებით ახალი პროდუქტია. პირველად საერთაშორისო აღიარება კი საფერავში დაძველებულმა და ფრანგულ-ქართული ტექნოლოგიით დამზადებულმა „ტიბაანურმა“ მოიპოვა.

6. მწვანილი – ქართული მწვანილი ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდება ბელორუსში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ლიტვაში. გასულ წელს საქართველოდან ექსპორტზე 6.565 მილიონი დოლარის ღირებულების მწვანილი გავიდა.

7. დაფნა – საქართველოდან დაფნა მსოფლიოს 12 ქვეყანაში გადის, მათ შორის პოლონეთში, ბულგარეთში, ვიეტნამსა და ფილიპინებში.

8. ხილისა და ბოსტნეულის ნატურალური წვენები – ეს პროდუქცია საქართველოდან მსოფლიოს 18 ქვეყანაში გადის, მათ შორის გერმანიასა და აშშ-ში.

9. ფარმაცევტული პროდუქცია – ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატები.

10. მატყლი – ქართული მატყლის პირველი, საცდელი პარტია დიდი ბრიტანეთის ბაზარზე რამდენიმე თვის წინ გავიდა, მანამდე კი საქართველოში წარმოებული მატყლი იყიდებოდა თურქეთში, უკრაინასა და რუსეთში.

(წყარო:https://bpn.ge/ekonomika/26685-10-qarthuli-produqti-romelic-sazghvrebs-gareth-yvelaze-popularulia.html?lang=ka-GE)

ა. იპოვეთ მოცემული ტექსტის სათაურში სიტყვა „ექსპორტის“ სინონიმური მნიშვნელობის ფრაზა და გაუსვით ხაზი.

ბ. ხაზგასმული ფრაზის ზუსტი მნიშვნელობის გასაგებად გამოიყენეთ, საჭიროებისამებრ, ლექსიკონი.

გ. ხაზგასმული ფრაზა შეცვალეთ ერთი სიტყვით (საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ ლექსიკონი).

2 **ა. დაიყავით მცირე ჯგუფებად და გაუზიარეთ ერთმანეთს ინფორმაცია:**
რას აწარმოებს თქვენი ქვეყანა? რა გადის ექსპორტის სახით საზღვარგარეთ?

_____

_____

_____

ბ. გადახედეთ ზემოთ მოცემულ ტექსტს და შეადარეთ თქვენ მიერ შედგენილი სია ტექსტში მოცემულ პროდუქტთა ათეულს. დაწერეთ მსგავსი და განსხვავებული საექსპორტო პროდუქტები.

_____

_____

_____

3 ტექსტიდან გამომდინარე შეადგინეთ ქართული პროდუქტის ექსპორტის შკალა:

მინერალური წყალი	ალკოჰოლური სასმელი	ხილისა და ბოსტნეულის წვენები
დაფნა	თხილი	ჩაი	მწვანილი	მატყლი

40 ქვეყანა — _____ 12 ქვეყანა — _____

33 ქვეყანა — _____ 4+ ქვეყანა — _____

18 ქვეყანა — _____ 4 ქვეყანა — _____

4 ა. იპოვეთ და გახაზეთ, რომელი სიტყვები გხვდებათ ტექსტში?

საერთაშორისო
საცდელი
ძველი
ინტერნაციონალური
ეროვნული
ნაციონალური
ცდა
დაძველებული

ბ. კონტექსტის გათვალისწინებით დააწყვილეთ მოცემული სიტყვები.

_____

_____

გ. ამოწერილ სიტყვებში შემოხაზეთ სიტყვის ძირი. ხაზი გაუსვით მაწარმოებელ აფიქსებს.

5 ა. იპოვეთ ტექსტში ფრაზები, რომლებშიც ქვეყნების ჩამონათვალია და ხაზი გაუსვით.

ბ. შემოხაზეთ ქვეყნების დასახელებების მაწარმოებელი სუფიქსები. რომელი ორი სუფიქსი გხვდებათ?

გ. რომელ ბრუნვაში დგას უთანდებულო სახელები?

დ. შეავსეთ წესი:

მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში მდომი თანდებულიანი სიტყვების ჩამონათვალში იმ სიტყვას, რომელიც „და“ კავშირის ..... არის, ბრუნვის ნიშანზე და ერთვის სავრცობი -ა.

აგროჰაბი

ბლოკი 3

აგროჰაბი

1 **დააკვირდით ფლაიერს და გაარკვიეთ, რითი არის გამორჩეული აგროჰაბის პროდუქტი:**

ა. _____

ბ. _____

ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲨᲘ
ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ:

- ᲮᲘᲚ-ᲞᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ

- ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ
- ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ Fresh ᲗᲔᲕᲖᲔᲣᲚᲝᲑᲐ
- ᲖᲦᲕᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲔᲡᲔᲑᲘ

*ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲬᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ

ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ:

- ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘᲡ, ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘ
- ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲘᲙᲕᲔᲑᲔᲑᲐ 100% ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲗ

ᲓᲐᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲘ, ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ

ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲐᲒᲔᲛᲝᲕᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲤᲔᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ:

- ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝᲣᲠᲘ
- ᲝᲯᲐᲚᲔᲨᲘ
- ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲐ
- ᲬᲐᲠᲐᲤᲘ
- ᲛᲐᲜᲐᲕᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ
- ᲠᲥᲐᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ
- ᲠᲥᲐᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ
- ᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ
- ᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ
- ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ
- ᲥᲘᲜᲫᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘ

ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲘᲡ „ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ“ ᲛᲣᲠᲐᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ:

- ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ
- ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲡ

2 ა. რა სახის ნატურალური პროდუქტი იყიდება ამ ჰიპერმარკეტში?

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

5. _____

ბ. რა დამატებითი სერვისი გააჩნია ჰიპერმარკეტს?

3 ა. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

ხელით დამზადებული	იქვე, ჰიპერმარკეტში
კონსერვანტები	გემოს გასინჯვა
ცოცხალი	ბუნებრივი
ნედლეული	დასამუშავებელი პროდუქტი
ადგილზე წარმოებული	ახლად დაჭერილი
ნატურალური	საქართველოში წარმოებული
წარმოება	ხელოვნური დანამატი
დაგემოვნება	გადამუშავება
ადგილზე	„ოჯახური“
სხვადასხვა სახის	მრავალფეროვანი

ბ. იპოვეთ ანტონიმები:

ხელოვნური	ნახევარფაბრიკატი
ქარხნული	ხელით დამზადებული
ნედლეული	ბუნებრივი

4 გაეცანით ფეისბუქის ჩანაწერს აგროჰაბის გვერდზე:

ა. რა არ მოსწონს ნიკოლოზს?

_____

ბ. რომელი პროდუქტის შესახებ მიიღო ინფორმაცია ლიამ აგროჰაბისგან?

_____

აგროჰაბი · AgroHub

5თებერვალი.

აგროჰაბში ნატურალური რძის პროდუქტების დეგუსტაცია დაიწყო!

მობრძანდით და დააგემოვნეთ 100%-ით ქართული ნატურალური რძისგან დამზადებული: ყველი, მაწონი, არაჟანი, ხაჭო.
გვეწვიეთ მარშალ გელოვანის გამზ. #22

მომწონს · კომენტარი · გაზიარეთ

Ann Gadakhabadze და 1 ათასი სხვა · ქრონოლოგიურად

ნიკოლოზ წიკლაური ვაკეში გაქვთ მაღაზია?
მომწონს - პასუხი - 1 - 5 იანვარი, 21:04-ზე

აგროჰაბი · AgroHub მოგესალმებით ნიკოლოზ.
ამ ეტაპზემხოლოდ მარშალ გელოვანის #22-ში ვართ.
მომწონს - პასუხი - 1 - 5 იანვარი, 21:09-ზე

ნიკოლოზ წიკლაური ცუდია.
მომწონს - პასუხი - 5 იანვარი, 21:47-ზე

Lia Geladze თხის რძე და ყველი თუ გაქვთ და რა ღირს?
მომწონს - პასუხი - 14 იანვარი, 22:28-ზე

აგროჰაბი · AgroHub მოგესალმებით. უახლოეს პერიოდში გვექნება „აგროჰაბის“ წარმოების თხის ყველი.
მომწონს - პასუხი - 1 - 14 იანვარი, 22:30-ზე

5 **ა. დააკვირდით მე-4 დავალებაში მოცემულ ჩანაწერებს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სინონიმური მნიშვნელობის ფრაზებში:**

თხის რძე და ყველი ხომ არ გაქვთ?	თხის რძის პროდუქტები ..... ?
უახლოეს პერიოდში მივიღებთ	მალე .....
„აგროჰაბის“ მიერ დამზადებული	..... წარმოების (წარმოებული)

ბ. გახაზეთ ორივე ცხრილში მოცემული ფრაზების სინონიმები (შეიძლება იყოს რამდენიმე სწორი ვარიანტი):

1	თუ გაქვთ?
	ნამდვილად გაქვთ?
	აქვთ თუ არა?
	გაქვთ?
	არ გვაქვს?
	არ გაქვთ?
	ხომ არ გაქვთ?
	არ გაქვთ, ხომ?

2	„აგროჰაბის“ წარმოების
	„აგროჰაბის“ მიერ შესყიდული
	„აგროჰაბის“ მიერ დამზადებული
	„აგროჰაბის“ საწარმოს
	„აგროჰაბისთვის“ წარმოებული
	„აგროჰაბის“ მიერ წარმოებული

გ. დააკვირდით ბ დავალების მე-2 ცხრილს და შეავსეთ წესი:

ნათესაობითი ბრუნვა (-ის/-ს) გამოხატავს ..... კუთვნილებას ..... ,

ხოლო თანდებული მიერ – ..... კუთვნილებას ..... .

საგნის **სუბიექტისადმი** **მოქმედების** **აქტანტისადმი**

ბლოკი 4

პროდუქტის ეტიკეტი

1 დააკვირდით წარწერას:

ა. სადაური პომიდორია?

ბ. რა ჯიშისაა?

გ. რა ღირს ერთი კილო პომიდორი?

დ. როდის არის შეფუთვა დამზადებული?

ე. რა ინფორმაცია არ არის მოცემული წარწერაზე?



2 დააკვირდით წარწერას და იპოვეთ პროდუქტის დასახელება. რა სახის პროქტია ის და რისგან კეთდება? რომელი სხვა პროდუქტი არის ამ პროდუქტის მსგავსი?

შემადგენლობა: ნატურალური რძე, ბაქტერიული დედა
100გ. პროდუქტში: ცხიმი: – ცხიმი–3,2გ.; ცილა – 3,4გ.;
ნახშირწყალი –4,5გ.
ენერგეტიკული ღირებულება – 60ჯაულ წონა – 400გ.+ 5%
შენახვის პირობები – 4 +2C°
შ.პ.ს. „აგროჰაბი“.
საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №2.
ტელ.: (+99532) 244 07 07;ელ-ფოსტა: info@agrohab.ge

3 ა. დააკვირდით წარწერას, იპოვეთ ქვემოთ ჩამოთვილ პუნქტებზე ინფორმაცია (თუ ის მოცემულია წარწერაზე) და შეავსეთ პასუხები:

კალორიულობა: _____

ცხიმიანობა: _____

წონა: _____

მწარმოებლის მისამართი: _____

მწარმოებლის ტელეფონი: _____

წარმოების თარიღი: _____

შენახვის ვადა: _____

ბ. გადაამოწმეთ თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია პროდუქტის ცხიმიანობისა და წონის შესახებ შემდეგ წარწერებში.

გ. ამ სურათებზე დაყრდნობით შეავსეთ ბ დავალებაში ვადებთან დაკავშირებული პუნქტები.

4 ა. იპოვეთ ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ პროდუქტებზე და შეავსეთ ცხრილი (ზოგიერთ პუნქტზე მონაცემები არ არის):

	წყალი	ზეთი	ხაჭო	პური
დასახელება:				
ენერგეტიკული ღირებულება:				
ცხიმიანობა:				
წონა:				
მწარმოებლის მისამართი:				
წარმოების თარიღი:				
შენახვის ვადა:				
შენახვის პირობები:				
შემადგენლობა:				


BORJOMI
1890
GEORGIAN MINERAL WATER
მინერალიზაცია: 5,0 - 7,5 გ/ლ
ქიმიური შემადგენლობა (მგ/ლ)
Ca²+ 20-150
Mg²+ 20-150
Na+ 1000-2000
HCO₃- 3500-5000
შესაბამისობა სსტ 50 : 2010
შენახვის ტემპერატურა: (+3°C)-(+30°C)
ვარგისიანობა: იხილეთ ეტიკეტზე
CP2GEN2
1.0ლ.

100% რაფირინებული და ვინტერიზებული
მზესუმზირის ზეთი
საკვები ნივთიერებები 100 გრამში:
ცხიმი 99,9 გ
კალორიულობა 899 კკალ
ქოლესტეროლი 0 გ
ვიტამინი 910 გ
მოცულობა 1 ლიტრი
მასა ნეტო 910 გ
რეკომენდებულია შესაწვავად,
კულინარიისთვის და სალათებისთვის
დამზადებულია
შპს „დაფნა-ჰა“-ს შეკვეთით,
თბილისი 0120, აბუსერიძე-ტბელის ქ. #13
საქართველო

ვაქიზი
ინფორმაცია საკვებ ნივთიერებებზე
100გ. პროდუქტში
ენერგ. ღირებულება (კკალ) 160.0
ცილა (გ) 16.5
ცხიმი (გ) 9.0
ნახშირწყლები (გ) 2.0
შემადგენლობა:
ნატურალური რძე, ბაქტერიოლოგიური დედო
სერტიფიცირებულია, მსტ 15561891-002-07
შენახვის პირობები 6±2 C°
ვრგისიანობის ვადა: იხილეთ თავსახურზე
დამზადებულია: უნიფარმი სს
4112 სოფ.თეკლათი, სენაკი, საქართველო
ტელ.: (+995) 90 999 945
200გ.

სერტიფიცირებულია
ლიტვური
საცხობი
4860004390080
სვეიკატა
0%
საფუარი
შაქარი
შემადგენლობა:
ჭვავის ფქვილი 60%,
ხორბლის ფქვილი I 12%,
ხორბლის ფქვილი II 10%,
ალაო 18%, მარილი 1%, წყალი,
ენერგეტიკული ღირებულება: 190 კკლორია/100გ.
შპს „ლიტვური საცხობი+“ ტელ.:+995 591 94 59 12
www.litvurisacxobi.ge www.facebook/litvurisacxobi
მის.:თ. ერისთავის №1
შეინახეთ თავდახურულ ადგილას
+3C°-დან +18C°ტემპერატურაზე
დაეზადებული
27.10.2017 - 31.10.2017
ვარგისია
ამდე
375
±25გ.

ბ. დააკვირდით პროდუქტების წარწერებს და ამოწერეთ ყველა სიტყვა, რომლებიც მთავრდება -იან დაბოლოებით და -ულ-ი / ურ/-ი დაბოლოებით:

5 კიდევ რა სახის ინფორმაცია გაინტერესებთ ამ ან სხვა პროდუქტების შესახებ? მისწერეთ აგროჰაბს:



© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა II

საგანგებო სიტუაციები

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მშობლიურენოვანი მოსაუბრის მარტივი მითითებები;
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს თანამოსაუბრესთან მარტივი სატელეფონო საუბარი.

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება ვებგვერდზე და მისი ძირითადი არსის გაგება;
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით;
შემსწავლელს შეუძლია ინსტრუქციის შემცველი ტექსტის გაგება.

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია გამართოს მარტივი სატელეფონო საუბარი;
შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით აღწეროს შემთხვევის დეტალები და ნივთი.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია ინსტრუქციის შემუშავება.

გრამატიკა / ლექსიკა

- „ხომ“ ნაწილაკის გამოყენება თავაზიან შეკითხვაში;
- კონსტრუქციები ფრაზებით: „აუცილებელია“ + საწყისი / მეორე კავშირებითი ინსტრუქციის ფრაზებში;
- შესასრულებელი მოქმედების გამომხატველი მიმღეობის წარმოება.

საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი ლექსიკა; ოპერატორთან და პოლიციელთან საუბრის დროს გამოსაყენებელი ფრაზები;

ბლოკი 1 – 112 (ას თორმეტი)
ბლოკი 2 – ზარი ოპერატორთან
ბლოკი 3 – დაკარგული ნივთი
ბლოკი 4 – დიალოგი პოლიციელთან და ოპერატორთან

ბლოკი 1

112 (ას თორმეტი)

1 ა. მონიშნეთ, რომელი სიტუაცია მიეკუთვნება საგანგებო / გადაუდებელი სიტუაციების რიცხვს:

ბ. იმუშავეთ წყვილებში, ჩამოწერეთ კიდევ სხვა სიტუაციები, როდესაც უნდა დარეკოთ 112-ზე:

2 გაეცანით ტექსტს ქვემოთ მოცემული რუბრიკიდან „როდის უნდა დავრეკოთ 112-ზე“ და მიუსადაგეთ ერთმანეთს ფრაზები:

თვითმხილველი
სისხლდენა
გონების დაკარგვა
მცდელობა
ავტოსატრანსპორტო შემთხვევა
ძარცვა
ყაჩაღობა
ძალადობა
ძებნილი
საეჭვო საგანი

ავარია
სისხლის წამოსვლა
ნივთის მოპარვა
სავარაუდოდ საშიში
გულის წასვლა,
საკუთარი თვალით მნახველი
დამნაშავე, რომელსაც პოლიცია ეძებს
სხვისი ნივთების, ქონების წართმევა ძალადობით
ცდა, ან წარუმატებელი ქმედება
ცემა, სროლა, დაჭრა

როდის უნდა დარეკოთ

112 განკუთვნილია საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციებისთვის, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობას, კერძო ან საზოგადოებრივ საკუთრებას.

გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც აუცილებელია პოლიციის, სახანძრო/სამაშველო ბრიგადის ან სასწრაფოს დაუყონებლივ მოსვლა.

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, არის თუ არა სიტუაცია გადაუდებელი, უნდა უპასუხოთ შემდეგ კითხვას:

აუცილებელია საგანგებო სამსახურების (**პოლიცია, სახანძრო, სასწრაფო**) დაუყონებლივ მოსვლა ადგილზე?

თუ ამ კითხვაზე თქვენი პასუხია „**დიახ**“ აუცილებლად უნდა დარეკოთ 112-ზე და მიაწოდოთ ოპერატორს ინფორმაცია რა მოხდა ან რა შეიძლება მოხდეს.

დარეკეთ 112- ზე, როდესაც:

- ხანძარია
- პიროვნებამ მოულოდნელად დაკარგა გონება
- პიროვნებას აქვს სხეულის სერიოზული დაზიანება
- პიროვნებას აქვს ძლიერი სისხლდენა
- გახდით თვითმკვლელობის მცდელობის თვითმხილველი
- გახდით მკვლელობის თვითმხილველი
- გახდით ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თვითმხილველი
- გახდით ყაჩღაობის თვითმხილველი
- გახდით ძარცის თვითმხილველი
- გახდით ძალადობის თვითმხილველი
- შეამჩნიეთ პოლიციის მიერ ძებნილი პიროვნება
- გახდით ნარკოტიკების მოხმარების თვითმხილველი
- შეამჩნიეთ საეჭვი სახის ნივთი
- გახდით აფეთქების თვითმხილველი

გახსოვდეთ!

შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ისაუბრეთ გარკვევით და უპასუხეთ 112 - ის ოპერატორის დასმულ ყველა კითხვას.

3 **ა. დააკვირდით პირველ და მეორე დავალებებში მოცემულ სიტუაციებს და გაარკვიეთ, რა აერთიანებს მათ?**

ბ. იპოვეთ ზემოთ მოცემულ ტექსტში ტერმინის „საგანგებო და გადაუდებელი სიტუაცია“ განმარტება და ხაზი გაუსვით.

გ. იპოვეთ ლექსიკონში შემდეგი ტერმინების განმარტება:

1. საფრთხე ემუქრება

2. კერძო საკუთრება

3. საზოგადოებრივი საკუთრება

4 ტექსტიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეთ, რის მიხედვით არკვევთ, უნდა დარეკოთ თუ არა 112-ზე?

5 ა. იპოვეთ ტექსტში აუცილებლობის გამომხატველი ფრაზები:

1. აუცილებელია .....

2. აუცილებელია .....

3. აუცილებლად უნდა .....

4. უნდა .....

ბ. დააკვირდით ამ ფრაზებს და მონიშნეთ, ზმნისა და სახლზმნის რომელი ფორმებია გამოყენებული? ნიმუშები მოძებნეთ წინადადებებში და ქვეშ მიუწერეთ.

წყვეტილი ☐ მეორე კავშირებითი ☐ საწყისი ☐

გ. შეავსეთ ფორმულა:

აუცილებელია + საწყისი ან მეორე კავშირებითი

(აუცილებლად) უნდა + ...

ბლოკი 2

ზარი ოპერატორთან

1 **გაეცანით ტექსტს და მოუფიქრეთ სათაური:**

- ცრუ განგაშის გამოწვევის მიზნით
- გართობის მიზნით
- საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის მუშაობის შესამოწმებლად
- ოპერატორისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად
- სატრანსპორტო საშუალებების განრიგის გასაგებად
- საკვების შესაკვეთად
- ამინდის პროგნოზის გასაგებად
- ვალუტის კურსის გასაგებად
- სასტუმროს დასაჯავშნად
- ტაქსის გამოსაძახებლად
- ინფორმაციის გასაგებად პიროვნების მისამართის ან ტელეფონის შესახებ

ყურადღება!

112-ზე გართობის მიზნით დარეკვის შემთხვევაში თქვენ არ აძლევთ დაკავშირების შესაძლებლობას მათ, ვისაც ნამდვილად სჭირდება დახმარება და ვისთვისაც წამები გადამწყვეტია.

გახსოვდეთ!

112- ში ყოველი შემოსული ზარი იწერება და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ისჯება კანონით.

2 **მიუსადაგეთ ფრაზები ერთმანეთს:**

ოპერატორის შეურაცხყოფა	ტყუილი სიგნალი საფრთხის შესახებ
უცნობი ადამიანის პირადი მონაცემების გაგება	პიროვნების მისამართისა და ტელეფონის გაგება
საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი	ავტობუსისა და მატარებლის გრაფიკი
სატრანსპორტო საშუალებების განრიგი	112-ის ცენტრი
ცრუ განგაში	ოპერატორთან ჩხუბი, მისი გალანძღვა

3 **ა. მოცემულ ტექსტში იპოვე და ამოიწერეთ -ად სუფიქსით დამთავრებული (ვითარებით, ადვერბიალურ ბრუნვაში) ფორმები:**

_____

_____

_____

ბ. რას გამოხატავს ეს ფორმები? მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

- ◯ რისთვის სრულდება მოქმედება;
- ◯ სად სრულდება მოქმედება;
- ◯ როგორ სრულდება მოქმედება.

გ. მიუწერეთ ამ ფორმებს სახელობითი ბრუნვის ფორმა და ხაზი გაუსვით იდენტურ მორფემებს (შეავსეთ ცხრილის პირველი და მეორე სვეტები):

ვითარებითი ბრუნვის მიმღეობა	სახელობითი ბრუნვის მიმღეობა	საწყისი
შესამოწმებლად	შესამოწმებელი	შე-მოწმებ-ა

დ. ზმნისწინებისა და ზმნის ფუძეების მიხედვით აწარმოეთ საწყისები ცხრილის მესამე სვეტში -ა სუფიქსის დართვით.

ე. შეავსეთ წესი:

შესასრულებელი მოქმედების გამომხატველი მიმღეობა იწარმოება საწყისიდან შემდეგი აფიქსებით:

ზმნისწინი + ... – ზმნის ძირი + ებ - ..... - ი

ან

ზმნისწინი + ... – ზმნის ძირი + ებ - ი

4 შეავსეთ ფრაზები შესასრულებელი მოქმედების გამომხატველი მიმღეობებით ვითარებით ბრუნვაში (-ად სუფიქსის დართვით):

- 112-ში ..... აუცილებელია მობილური ტელეფონი ფიქსირდებოდეს საქართველოში მოქმედი მობილური პროვაიდერების (მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) დაფარვის ზონაში.
- დროული და ეფექტური დახმარების ..... მნიშვნელოვანია ოპერატორთან სწორი ფორმით თანამშრომლობა.
- დახმარების დროულად ..... საჭიროა ოპერატორს აუხსნათ შემთხვევის ადგილის ზუსტი ლოკაცია.

5 **მოიფიქრეთ, კიდევ რა შემთხვევაში შეიძლება და არ შეიძლება 112-ზე დარეკვა და ჩამოწერეთ, ინსტრუქციების სახით.**

ბლოკი 3

დაკარგული ნივთი

1 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.1) და მონიშნეთ, რა ემოცია აქვს ვანდას:**

ა. გახარებულია;

ბ. შეწუხებულია;

გ. შეშინებულია;

დ. გაოცებულია.

2 **ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.1) კიდევ ერთხელ და მონიშნეთ, რომელია სწორი:**

ა. ვანდამ დაკარგა საფულე;

ბ. ლიკამ იპოვა საფულე;

გ. ვანდამ დაკარგა ტელეფონი.

ბ. მონიშნეთ ცხრილში სწორი ვარიანტი:

ვანდამ გუშინ დაკარგა საფულე.	
ლიკა ურჩევს ვანდას დარეკოს ან წავიდეს პოლიციაში.	

3 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.2), შეადარეთ იგი აუდიოჩანაწერს (2.1) და შეავსეთ, რა ინფორმაციას აწვდის ვანდა ლიკას და რა ინფორმაციას – პოლიციას:**

	დიალოგი 2.1	დიალოგი 2.2
სახელი		
გვარი		
ტელეფონის ნომერი		
მისამართი		
საფულის დაკარგვის ადგილი		
დაკარგვის დრო		

4 **კიდევ ერთხელ მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (2.1 და 2.2). დიალოგების მიხედვით პუნქტები თანამიმდევრულად დაალაგეთ ცხრილში:**

- ~~იდენტიფიცირება ხმით~~
- ვარაუდი დაკარგვის ადგილის თაობაზე
- საკუთარი სახელის თქმა
- შემდგომი მოქმედების დასახვა
- მოკითხვა
- მისამართის მიცემა
- შეკითხვა ნივთის დაკარგვის ვითარებაზე
- პასუხი დაკარგვის ადგილის თაობაზე
- შეკითხვა ნივთის დაკარგვის ადგილზე
- მისამართის დაზუსტება, შეკითხვა და პასუხი შემდგომ ქმედებაზე
- დამშვიდობება
- ~~იდენტიფიცირება ორგანიზაციის სახელით~~
- პრობლემის გაზიარება
- საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება
- დამშვიდობება

დიალოგი 2.1	**დიალოგი 2.2**
• იდენტიფიცირება ხმით •	• იდენტიფიცირება ორგანიზაციის სახელით •

5 **აირჩიეთ სიტუაცია და გაითამაშეთ წყვილებში. ჩაიწერეთ დიალოგი ტელეფონში და მოისმინეთ. გაასწორეთ შეცდომები და ჩაწერეთ უკეთესი ვარიანტი.**

სიტუაცია 1: თქვენ დაკარგეთ ტელეფონი ავტობუსში და ურეკავთ: ა. მეგობარს: ბ. პატრულს.

სიტუაცია 2: თქვენ იპოვეთ საფულე და ურეკავთ: ა. მეგობარს: ბ. პატრულს.

ბლოკი 4

დიალოგი პოლიციელთან და ოპერატორთან

1 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.3) და მონიშნეთ სწორი პასუხი / პასუხები:**

1. სად ხდება მოქმედება?

ა. უნივერსიტეტში; ბ. სახლში; გ. პოლიციის განყოფილებაში.

2. ვინ არიან საუბრის მონაწილეები:

ა. ვანდა; ბ. ლიკა; გ. პოლიციელი; დ. მძღოლი.

2 **აუდიოჩანაწერის (2.3) მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:**

ა. სად ჩაჯდა ვანდა ტაქსიში? _____

ბ. რომელ საათზე იმგზავრა ტაქსით? _____

გ. სად წავიდა ვანდა ტაქსიდან გადმოვსვლის შემდეგ? _____

დ. სად აღმოაჩინა ვანდამ, რომ საფულე აღარ ჰქონდა? _____

3 **ხაზი გაუსვით სიტყვებს, რომლებითაც დაახასიათებთ ვანდას საფულეს?**

მოგრძო გრძელი წითელი ყავისფერი

ყვავილიანი ზოლებიანი სპილოიანი

4 **ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.3) კიდევ ერთხელ და ამოიწერეთ ყველა ფრაზა, რომლებშიც გესმით ნაწილაკი „ხომ“:**

_____

_____

_____

ბ. დააკვირდით ამოწერილ ფრაზებს და მონიშნეთ, რა ფუქნცია აქვთ მათ?

- ◯ თავაზიანი შეკითხვის;
- ◯ თავაზიანი უარყოფის;
- ◯ თავაზიანი თხოვნის.

5 **გაინაწილეთ როლები (მოქალაქე და პოლიციელი) და გაითამაშეთ დიალოგი.**

სიტუაცია: თქვენ დაკარგეთ ტელეფონი ან ჩანთა, მიხვედით პოლიციაში. გამართეთ დიალოგი პოლიციელთან და აღწერეთ, რა, სად, როდის და როგორ დაკარგეთ.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა III

მოგზაურობა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
შემსწავლელს შეუძლია ტრანსპორტისა და გადაადგილების თემაზე მარტივი დიალოგების გაგება (მაგ., ტაქსის გაჩერება და მძღოლთან საუბარი, მიმართულების ახსნა).

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია იპოვოს სპეციფიკური, წინასწარ სავარაუდო ინფორმაცია ისეთ მარტივ ტექსტებში, როგორებიცაა: სარეკლამო პუბლიკაცია, ფლაერი, განცხადება;
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰავის შესახებ მოკლე საინფორმაციო ენციკლოპედიური ხასიათის ტექსტიდან.

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება დანიშნულების ადგილზე მისასვლელად, ან თანამოსაუბრეს მიასწავლოს გზა.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია მიმართოს შეკითხვით და მისწეროს ოფიციალური წერილი სასტუმროს ადმინისტრაციას დამატებითი ინფორმაციის გაგების მიზნით.

გრამატიკა / ლექსიკა

ხოლმე ნაწილაკი;
სიხშირის გამომხატველი ზმნიზედები;
ბრძანებითის ფორმა სამარშრუტო გზის აღწერისას;
ვედ-ძირიანი ზმნების ბრძანებითი.

მოგზაურობასთან დაკავშირებული ლექსიკა;
კლიმატი;
ტურისტული კომპანიები;
სასტუმროები.

ბლოკი 1 – დასასვენებელი ადგილები
ბლოკი 2 – სამოგზაურო ტურები
ბლოკი 3 – სასტუმროს შერჩევა
ბლოკი 4 – სასტუმროსკენ

ბლოკი 1

დასასვენებელი ადგილები

1 სად გიყვართ დასვენება? რატომ?

2 ა. წელიწადის რომელი დრო უფრო გიყვართ? მონიშნეთ ცხრილში:

ზამთრის მოყვარული	ვერ ვიტან სიცხეს	მიყვარს მთა	მიყვარს თხილამურები	
ზაფხულის მოყვარული	ვერ ვიტან სიცივეს	მიყვარს ზღვა	ვგიჟდები ნაყინზე	

ბ. ჰკითხეთ ჯგუფელებს „ზამთრის ტიპები“ არიან თუ „ზაფხულის“? ჩაინიშნეთ, რა უყვართ და რა – არა?

3 ა. გადაავლეთ თვალი ტექსტს და მონიშნეთ სწორი პასუხი:

რა არის ჰავა?

- ○ ამინდი;
- ○ ბუნება;
- ○ კლიმატი;

საქართველოს ბუნება – საქართველოს ჰავა

საქართველოს ჰავა – საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონით. საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე: ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. ადგილობრივ ჰავას ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი. ეს უკანასკნელი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან, ხოლო შავი ზღვა ზომიერს ხდის ტემპერატურას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ბ. წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელია სწორი:

- ○ საქართველოში არის ორი კლიმატური ზონა: სუბტროპიკული და მუდმივი მყინვარების.
- ○ საქართველოს ჰავაზე მოქმედებს კავკასიონის მთები და შავი ზღვა.
- ○ აღმოსავლეთ საქართველოში ხშირად წვიმს ხოლმე.
- ○ კავკასიონის მთები იცავს საქართველოს ჩრდილოეთის სიცივისგან.

გ. კონტექსტის დახმარებით იპოვეთ შემდეგი სიტყვების სინონიმები:

ნალექები	განსხვავებული
მრავალფეროვანი	ბევრი
ჩამოყალიბება	ნეიტრალური
უკანასკნელი	ბოლო
შემოჭრა	შემოსვლა
ზომიერი	ცვლილება
მერყეობა	ფორმირება
დიდი რაოდენობით	უფრო მეტად
განსაკუთრებით	წვიმა / თოვლი

4 **ა. დააკვირდით რუკას და შეავსეთ ცხრილი:**



	მზე	წვიმა	ნისლი	ღრუბელი	ქარი	სეტყვა	თოვლი
ქართლი							
კახეთი							
იმერეთი							
სამეგრელო							
აჭარა							
გურია							
სვანეთი							
აფხაზეთი							
სამცხე-ჯავახეთი							
ხევი, ხევსურეთი							
ფშავი, თუშეთი							

ბ. აღწერეთ რომელიმე კუთხის ჰავა ცხრილის მიხედვით.
შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ფრაზები:

ამ კუთხეში წვიმს ხოლმე,
..ზაფხულში ძალიან ცხელა ხოლმე,

გ. აირჩიეთ, რომელიმე რეგიონი და აღწერეთ, რა სიხშირით გვხვდება ესა თუ ის ბუნებრივი მოვნელები აქ.
დამხმარე ფრაზები: ყოველთვის / სულ; ხშირად; ხანდახან; ზოგჯერ; იშვიათად; არასდროს...

მაგალითად

კავკასიონზე ყოველთვის / სულ თოვლია;
ბათუმში იშვიათად თოვს;
სოხუმში სულ მზეა;
გურჯაანში ხშირად მოდის სეტყვა;
ბახმაროში სულ ნისლია....

5 რომელი ადგილი მოგწონთ დასასვენებლად ან სამოგზაუროდ? აღწერეთ, რატომ?

ბლოკი 2

სამოგზაურო ტურები

1 ჩაიფიქრეთ რომელიმე ქვეყანა/რეგიონი და აღწერეთ, წელიწადის რომელ დროს როგორი ამინდი არის ხოლმე იქ. სხვებმა უნდა გამოიცნონ.

2 გამოიკვლიეთ ინტერნეტის დახმარებით (მაგ., http://meteo.gov.ge), როგორი ამინდია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში და წელიწადის რომელ დროს, სად გინდათ წასვლა დასასვენებლად?

ბორჯომი

გუდაური

ქობულეთი

საირმე

აბასთუმანი

შოვი

მესტია

3 **გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტურებს და შეავსეთ ცხრილი:**

ტურის მარშრუტი				
ფასი				
ხანგრძლივობა				
გასვლისა და ჩამოსვლის თარიღი				
გასვლის ადგილი და დრო				
ტურისტული კომპანიის დასახელება				
რა შედის ტურის ღირებულებაში?				

ბათუმი

დამატების თარიღი: 2016-08-23 12:05:30
მიმართულება: შიდა ტურები
პერიოდი: 2016-08-24 - 2016-08-25

100.00 ₾

ნახვები: 9

რჩეულებში

ტურის დაჯავშნა

Like 0 Share

ტურის ორგანიზატორი:

Dadu Trevel

ყველა ტური

(599) 55 48 18
(571) 55 48 18

balubalu1972@gmail.com

http://nimatous.ge/

ტური აჭარაში: საზღვაო კურორტი ბათუმი, ქობულეთი, ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, გონიოს ციხესიმაგრე. სარფი (თურქეთის საზღვარი), მწვანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი, დელფინარიუმი, მთის ტურები ჭოროხისა და ზემო აჭარის ხეობაში.

გუდაურის 1 - დღიანი ტური 15 ლარად

დამატების თარიღი: 2017-01-10 16:27:32
მიმართულება: შიდა ტურები
პერიოდი: 2017-01-15 - 2017-01-15

15.00 ₾

ნახვები: 5

რჩეულებში

ტურის დაჯავშნა

Like 0 Share

ტურის ორგანიზატორი:

Nima Tours

ყველა ტური

(+551) 551 514 187

nimatours.ge@gmail.com

http://nimatous.ge/

ტურისტული კომპანია ,,ნიმა ტურსი'' გთავაზობთ
გუდაურის 1-დღიან ტურს
ტური შედგება 15 იანვარს (კვირა)
მარშრუტი:
ანანურის კომპლექსი
 გუდაური
ტურის ღირებულება: 15 ლარი

ღირებულებაში შედის:
✓ ტრანსპორტირება (სპრინტერის კომფორტული მიკროავტობუსით);
✓ კომპანიიდან გამყოლი;
✓ თარჯიმანი (მოთხოვნისამებრ);
✓ გათამაშება (1-დღიანი ტური უფასოდ);
✓ ფოტოგადაღება;
✓ თხილამურებზე ფასდაკლება (მთელი დღის განმავლობაში 20 ლარად).

გასვლა: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის მოედნიდან 07:30 საათზე
გასვლა: ქ. რუსთავი, შარტავას მიმდებარე ტერიტორია 07:00 საათზე
ჩაწერა ხდება წინასწარ!!!

ტურის დასაჯავშნად და დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
551-51-41-87 მარიამი
557-97-92-19 ოლგა

დამატებითი დეტალები:
თანხის ჩარიცხვა ხდება წინასწარ!!! ჩარიცხული თანხა 2 დღით ადრე უარის თქმის შემთხვევაში უკან არ დაბრუნდება, რათა ტური არ ჩაიშალოს.

მისამართი: აღმაშენებლის N91
Email: nima.tours@gmail.com

ერთი დღე რაჭაში, შემოდგომის რაჭა

დამატების თარიღი: 2016-10-30 20:38:27
მიმართულება: შიდა ტურები
პერიოდი: 2016-11-06 - 2016-11-06

30.00 ₾

ნახვები: 6

რჩეულებში

ტურის დაჯავშნა

Like 0 Share

ტურის ორგანიზატორი:

ვიპ ლაინ თრეველ

ყველა ტური

(+579) 551 514 187

viplineagency@gmail.com

VipLineTravel.Ge

6 ნოემბერს Vip Line Travel გთავაზობთ 1-დღიან ტურს შემოდგომის რაჭაში.
მეგობრებო, ვინც არ ყოფილხართ რაჭაში და არ გინახავთ ეს სილამაზე, აუცილებლად უნდა წამოხვიდეთ ამ ტურში.
მარშრუტი:
✓ შაორის ტბა
✓ ნიკორწმინდა
✓ ონი
✓ უწერა
✓ შოვი

ტურის ღირებულება: 30 ლარი

ტურის პროგრამა:
მინიმალური რაოდენობა 15 კაცი, მაქსიმალური რაოდენობა შეზღუდული არ არის.
გასვლა: რუსთავიდან 06:00 საათზე,
თბილისიდან 07:00 საათზე (მარჯანიშვილის მოედანი, შეკრება 06:30 საათზე)

მომსახურებაში შედის:
მგზავრობა (კომფორტული მიკროავტობუსით);
ყავა, ჩაი; ტკბილეულობა;
ფოტოგადაღება;
გათამაშება (შემდეგი ტური უფასოდ);
სასიამოვნო გარემო;
ტურის ორგანიზატორი;
თარჯიმანი მოთხოვნისამებრ.
რჩევა: მოგვაქვს საწვიმარი

ღირებულებაში არ შედის:
კვება, ალჰოლური სასმელები (მოგვაქვს ინდივიდუალურად)
დაბრუნება: (თბილისში ვიქნებით) 24:00 საათზე
ტურის დაჯავშნა ხდება თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად ჩარიცხვის შემდეგ.
P.S. ვემორჩილებით ტურის ორგანიზატორს.
ჩვენთან გელოდებათ სასიამოვნო და მეგობრული გარემო.
ტურის დასაჯავშნად და დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

579 20 13 82; 568 13 13 28
Email: viplineagency@gmail.com

Like Share 0

4 მე-3 დავალებაში მოცემული ტურებიდან შეურჩიეთ შესაბამისი ტური ფოტოებზე მოცემულ ადამიანებს: დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

5 იმუშავეთ წყვილებში:

ა. ჰკითხეთ მეწყვილეს და ჩაინიშნეთ, სად და რა პირობებში უყვარს დასვენება / მოგზაურობა:

ბ. იპოვეთ ინტერნეტში თქვენი მეწყილესთვის შესაფერისი შემოთავაზება. შეგიძლიათ გამოიყენოთ ვებგვერდი **www.turebi.ge**

ბლოკი 3

სასტუმროს შერჩევა

1 იმუშავეთ წყვილებში და გამოჰკითხეთ ერთმანეთს, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი სასტუმროს შერჩევისას?

ჩამოწერეთ მნიშვნელოვანი პუნქტები:

2 გაეცანით სასტუმროების პირობებს ბათუმში და უპასუხეთ შეკითხვებს:

	სასტუმრო N1	სასტუმრო N2	სასტუმრო N3
რა ღირს ორადგილიანი ნომერი?			
სად არის სასტუმრო: ქალაქის ცენტრში თუ განაპირა მხარეს?			

sastumro: Batumi

საოჯახო სასტუმრო Batumi მდებარეობს ბათუმის ცენტრიდან 4 კილომეტრში, სუფთა ჰაერზე, საიდანაც იშლება ქალაქ ბათუმის უმშვენიერესი ხედები. სასტუმრო არის საკმაოდ კომფორტული. თანამედროვე ინტერიერი შეგიქმნით სასიამოვნო განწყობას. სასტუმროში არის ყველა საჭირო პირობა თქვენი კომფორტისთვის. თავისუფალი ინტერნეტი, საკუთარი პარკინგი, მუდმივი ცხელი და ცივი წყალი, ცენტრალური გათბობის სისტემა, საკაბელო ტელევიზია, დიდი ეზო და ვერანდა. ფოტოები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდებზე.
ვებგვერდი: www.sastumrobatumi.com
ელ-ფოსტა: mari.shubitidze@yahoo.com
მობილური: 5490886281
მისამართი: ქალაქი ბათუმი, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა

- ფასი: 80 GEL-დან
- ორსართულიანი
- 22 ნომერი
- 55 ადგილი
- პატარა ორადგილიანი 70 GEL (2 ნომერი)
- სტანდარტული ორადგილიანი (2 ნომერი)
- კომფორტული ორადგილიანი 80 GEL (2 ნომერი)
- ნახევრად ლუქსი DELUX 100 GEL (4 ნომერი)
- ლუქსი 200 GEL (2 ნომერი)
- საოჯახო 100 GEL (4 ნომერი)
- დამატებითი საწოლი 25 GEL (2)

მომსახურება ნომრებში :

√ ინტერნეტი Wi-Fi
√ ტელევიზია
√ გათბობა
√ კონდიცირება
√ მაცივარი
√ ტელეფონი
√ თმის საშრობი
√ დუშკაბინა ყველა ნომერში
√ ჯაკუზი ლუქსში

მომსახურება სასტუმროში:

√ დილის საუზმე
√ გაღვიძების სერვისი
√ პლასტიკური ბარათით გადახდა
√ პრინტერი /ბეჭდვა
√ დაუთოება
√ სამრეცხაო
√ პარკინგი
√ უფასო პარკინგი
√ ტრანსფერი/დახვედრა

სხვა მომსახურება:

√ ბარი
√ რესტორანი

სასტუმროს ისტორია

სასტუმრო გაიხსნა 2011 წლის აგვისტოში.

სასტუმრო ,,ძველი ქალაქი" არის სამვარსკვლავიანი, მდებარეობს ბათუმის ცენტრში. ზღვის სანაპირო არის სასტუმროდან 10 წუთის სავალზე. ეს თბილი და მეგობრული სასტუმრო ძალიან კომფორტულია ტურისტებისთვის. სასტუმროს აქვს ტერასა, ბარი და რესტორანი მხოლოდ სასტუმროს სტუმრებისთვის.

სასტუმრო ,,ძველი ქალაქის" მეგობრული და მაღალკვალიფიციური თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან დააკმაყოფილონ მათი სტუმრების მოთხოვნები.

სპეციალური შეთავაზება

კორპორატიული შეთავაზება კომპანიებსა და კერძო პირებს. დაიწყეთ თანამშრომლობა ჩვენთან და ისარგებლეთ კორპორატიული ფასებით. დაგვიკავშირდით ან მოგვწერეთ.

სასტუმროს ნომრის ფასები:

ერთ პერსონაზე (ერთკაციანი) 190 ლარი
სტანდარტული (ორკაციანი) 200 ლარი
ლუქსი (ორკაციანი) 270 ლარი
ნომრის ფასში შედის საუზმე.

მომსახურება ნომრებში:

- ინტერნეტი WI-FI
- გათბობა
- კონდიცირება

მომსახურება სასტუმროში:

- პარკინგი

ჩვენი სასტუმროს შესახებ

სასტუმრო „იბერია" ბათუმის სანაპირო ზოლიდან 300 მეტრის მოშორებით მდებარეობს. აქვე ფუნქციონირებს ბუნგალოები, კაფე-ბარები, რესტორნების ქსელი, ატრაქციონები, აკვაპარკი, დელფინარიუმი, ცნობილი ძველი და ახალი ბულვარები. საქართველოს იბერია ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით VI საუკუნემდე ერქვა. ძველი დროიდან საქართველო ცნობილია თავისი სტუმართმოყვარეობით. შეიცვალა სახელი, მაგრამ არ შეცვლილა სტუმრის სიყვარული. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სასტუმრო „იბერიაში", სადაც საქართველოს არა მხოლოდ სახელი, არამედ სტუმრის მიღების კულტურა დაგვხვდებათ.

ოთახები

ერთადგილიანი ოთახი
100 ლარი
ორადგილიანი ოთახი
140 ლარი
ორადგილიანი ოთახი
140 ლარი
სამადგილიანი ოთახი
180 ლარი

ოთახის მომსახურება:

გათბობა / გაგრილება
უფასო ინტერნეტი WiFi, ტელევიზორი
სველი წერტილი
ჩუსტები, ტანსაცმლის კარადა, სამუშაო მაგიდა
24-საათიანი სარეგისტრაციო მაგიდა
ბათუმის აეროპორტიდან, ან მატარებლის გაჩერებიდან ტრანსპორტირება

სერვისები:

- საუზმე
- უფასო ინტერენეტი
- გაღვიძების სერვისი
- 24-საათიანი მიღება
- უფასო პარკირება

ყველა ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით, კონდიცირებით, მაღალი ხარისხის ინტერნეტით, უსაფრთხოებით, სატელიტური სატელევიზიო არხებით.

3 იმუშავეთ წყვილებში: წაიკითხეთ მე-2 დავალებაში მოცემული ტექსტები და გაარკვიეთ, რა დამატებით სერვისებს გვთავაზობს ეს სასტუმროები?

4 რა დამატებითი ინფორმაციის გაგება გსურთ რომელიმე ამ სასტუმროზე? ჩამოწერეთ შეკითხვები:

5 მისწერეთ წერილი იმ სასტუმროს ადმინისტრაციას, რომელზეც გსურთ დამატებითი ინფორმაციის გაგება:

MAIL

Sans Serif TT B I U A

Inbox (1)
Sent Mail
Drafts (3)
Spam
Trash
More

გამარჯობა,

ავირჩიე 3-დღიანი ტური ბათუმში და დავინტერესდი თქვენი ..... თი.

პატივისცემით,

ბლოკი 4

სასტუმროსკენ

1 მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (3.1, 3.2, 3.3) და გაარკვიეთ, სად ხდება მოქმედება. მონიშნეთ ცხრილში სწორი პასუხი:

	სასტუმრო N1	სასტუმრო N2	სასტუმრო N3
რკინიგზის სადგურში			
აეროპორტში			
ავტოსადგურში			

2 ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3.3) კიდევ ერთხელ და დახაზეთ რუკაზე მარშრუტი ავტოსადგურიდან საბოლოო პუნქტამდე:



ბ. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3.3) და დანომრეთ ფრაზები თანამიმდევრულად:

- ◯ გაჰყევით ამ ქუჩას ბოლომდე;
- ◯ იმ შენობასთან შეუხვიეთ მარცხნივ;
- ◯ შემდეგ გადადით გზის მეორე მხარეს;
- ◯ გაუხვიეთ მარჯვნივ სერგი მესხის ქუჩაზე;
- ◯ მალევე, გზის მარცხენა მხარეს, დაინახავთ მრგვალ ცისფერ შენობას;
- ◯ ამ ქუჩის გაგრძელებაზეა ბაგრატიონის ქუჩა;
- ◯ შეუხვიეთ მარჯვნივ მაიაკოვსკის ქუჩაზე;
- ◯ გაჰყევით დადიანის ქუჩას ბოლომდე;
- ◯ წადით პირდაპირ.

3 ა. აუდიოჩნაწერიდან (3.3) ცხრილში ამოწერეთ ის ზმნები, რომლებიც გამოხატავს ინსტრუქციას, როგორ მივიდეს ადამიანი სასტუმრომდე:

ბრძანებითი	დასრულებული წარსული (წყვეტილი)

ბ. მიუწერეთ ამ ზმნებს ცხრილის მეორე სვეტში დასრულებული წარსულის (წყვეტილის) შესაბამისი ფორმები მეორე პირის მრავლობით რიცხვში.

გ. გამოყავით ამ ზმნების ორი ჯგუფი:

	-ვედ- ძირიანი ზმნები	ზმნები, რომელთა წყვეტილი და ბრძენებითი ერთი და იმავე ფორმისაა
წყვეტილი		
ბრძენებითი (მეორე კავშირებითი)		

დ. დააკვირდით ცხრილში მოცემულ ზმნებს და დაასრულეთ წესი:

მიდის ზმნის გარდა, ინსტრუქციის აღმნიშვნელი ანუ ბრძანებითის ზმნები იყენებს .....

..... -ის მწკრივის ფორმებს.

4 ა. დაიყავით წყვილებად. დააკვირდით ბათუმის რუკას, გააგორეთ კამათელი. სადაც გაჩერდება კამათელი, ის იქნება ა პუნქტი. ბ პუნქტი იქნება შემდეგი სასტუმროები:

- სასტუმრო „ბათუსი“
- სასტუმრო „დადიანი“
- სასტუმრო „როლანდი“

აუხსენით მეწყვილეს, როგორ მივიდეს ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე.
სასტუმროს მისამართები მოძებნეთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციაში:

სასტუმრო „ბათუსი“ — ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა

საოჯახო სასტუმრო „დადიანი“ — ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №124

სასტუმრო „როლანდი“ — ბათუმი, პუშკინის ქუჩა № 29

ბ. გაცვალეთ როლები.

5 დაიყავით წყვილებად, გაინაწილეთ რუკები (ა და ბ ვარიანტები) და დასხედით ზურგით ერთმანეთისკენ. არ აჩვენოთ ერთმანეთს თქვენი რუკები. პირველმა მეწყვილემ აირჩიოს რომელიმე პუნქტი თავის რუკაზე („საწყისი პუნქტი“) და აუხსნას მეწყვილეს, სად დგას, ხოლო მეორე მეწყვილემ აირჩიოს რომელიმე პუნქტი საკუთარ რუკაზე („საბოლოო პუნქტი“) და ასწავლოს (უკარნახოს) გზა პირველ მეწყვილეს საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე ისე, რომ არ ჩახედოს მის რუკას. პირველმა მეწყვილემ კარნახის დროს უნდა დახაზოს რუკაზე მარშრუტი და ამგვარად მივიდეს მეორე პუნქტამდე.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა IV

სოციალური ქსელები, მედია

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტიდან ძირითადი ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს;
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, რომელიც ეხება რაიმე ნივთის ფერს, ზომას, წონას, მოცულობას.

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო ან საყოფაცხოვრებო თემებზე თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი ტექსტის (ბლოგის ჩანაწერის) ძირითადი შინაარსისა და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება.

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, გამოხატოს ემოციები.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებებით დაწეროს, თუ რა უყვარს/მოსწონს..., არ უყვარს/არ მოსწონს ყველაზე მეტად;
შემსწავლელს შეუძლია პირადი ხასიათის/ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე ინფორმაციის განთავსება სოციალურ ქსელში.

გრამატიკა / ლექსიკა

მომავალი დრო (გამეორება);
„ვეღარ“ ნაწილაკი;
კონსტრუქციები:
მიყვარს+სახელი/მიყვარს+სახელზმნა /მიყვარს+სახელი+სახელზმნა;
„ხომ“ დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით.

სოციალური ქსელების ლექსიკა (გადმოქართულებული ინტერნაციონალური ერთეულები).

ბლოკი 1 – ჩემ შესახებ
ბლოკი 2 – სოციალური ქსელები
ბლოკი 3 – ვლოგი
ბლოკი 4 – სოციალური ქსელების უარყოფითი მხარე

ბლოკი 1

ჩემ შესახებ

1 **გაცვალეთ ინფორმაცია ჯგუფში:**

დაგიწერიათ თუ არა ბლოგი? რის შესახებ?
სხვების ბლოგებს თუ კითხულობთ? რომელს?
გაინტერესებთ თუ არა ბლოგერის შესახებ ინფორმაცია?
გყავთ თუ არა ვირტუალური მეგობრები? როგორ იგებთ ინფორმაციას მათ შესახებ?

2 **წაიკითხეთ ორი ბლოგერის ჩანაწერი.**

ა. თქვენი აზრით, რა ტიპის ბლოგები აქვთ დაჩისა და ნინოს?

- ◯ პირადი ბლოგი;
- ◯ პროფესიული ბლოგი;
- ◯ თემატური ბლოგი.

ბ. როგორი სტილით წერენ დაჩი და ნინო? მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

- ◯ ნეიტრალური ენით;
- ◯ არაფორმალური / ფამილარული ენით;
- ◯ ფორმალური ენით.



დაჩის ბლოგი

მთავარი | ჩემ შესახებ

ჩემ შესახებ

მე დაჩი მქვია. გვარად გრძელიშვილი ვარ, პროფესიით – ჟურნალისტი. მყავს მეუღლე, ირმა და შვილები: ნიკოლოზი, თამარი, ხარება, ანდრია, კრავაი. მშვიდობიანი ხალხი ვართ. ხან გვიჭირს, ხან გვილხინს და მხიარულად ვცხოვრობთ. აქამდე გაზეთშიც ვმუშაობდი, ტელევიზიაშიც, რადიოშიც. ერთი ეს ბლოგერობა არ ვიცოდი რა იყო და აქაც „გავყავი თავი“. საინტერესო ყოფილა, მგონი. ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, თქვენ, სტუმრები, რას ფიქრობთ. ერთი გამოცდილი ბლოგერის რჩევებში წავიკითხე, მოკლედ უნდა აღწერო, შენი ბლოგი რაზეაო. იმაზეა, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და მაინტერესებს: ბავშვებზე, მოგაზურობაზე, ფოტოგრაფიაზე, კარგ ადამიანებზე. დიდი იმედი მაქვს, რომ ბლოგზე „ორმხრივი მოძრაობა“ იქნება – ანუ, მხოლოდ მე კი არ მოვყვები ხოლმე ამბებს, თქვენს დაწერილსაც წავიკითხავ და გავიგებ. მოკლედ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დაჩის ბლოგზე და გიცხადებთ დაუძინებელ მეგობრობას! :)

Like 0 Share

ცოტა რამ ჩემ შესახებ...

მე ვარ ნინო, 15 წლის, სკოლის მოსწავლე და ჩვეულებრივი ადამიანი ხანდახან არაჩვეულებრივი იდეებითა და აზრებით. რამდენიმე წინადადებით გაგაცნობთ თავს, რომ იცოდეთ, ვის ბლოგს კითხულობთ:

ვსწავლობ ჩვეულებრივად, არაფერი განსაკუთრებული. სხვებთან შედარებით უფრო მეტის კეთება არ ნიშნავს, იყო ძალიან მაგარი რომელიმე საქმეში.

ვცდილობ, ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. არაფერს ვაშავებ, ამიტომ არ ვფიქრობ შევიცვალო. თუ რამეს არასწორად გავაკეთებ, იმის გამოსწორებაზე აუცილებლად ვზრუნავ.

ვაფასებ თავისი საქმის მცოდნეებსა და პროფესიონალებს. სულ ვამბო, რომ შეიძლება აკადემიკოსი არ გახდე, მაგრამ იცოდე საქმე, რომლის გაკეთებაც გიყვარს.

მიყვარს დედა, და, მეგობრები, ნათესავები, შემწვარი კარტოფილი, ფილმების ყურება, სიმღერა, ცეკვა, წიგნის კითხვა, ხატვა, ინტერნეტში ძრომიალი... ეს ალბათ დაუსრულებელი სიაა, რომელსაც კიდევ ბევრი რამე და ვინმე მიემატება ცხოვრებაში.

არ მიყვარს უსამართლოდ მიღებული შენიშვნები და ზედმეტი ქება.

ეს ძალიან მცირე ინფორმაციაა, მაგრამ იმედია პოსტების მეშვეობით უკეთ გაიგებთ ჩემს ინტერესებსა და აზრებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამიტომ არ დაიზაროთ მისი კითხვა და კომენტარებსაც ნუ დაიშურებთ.

3 მონიშნეთ, ვის შესახებ არის საუბარი:

	ნინო	დაჩი
ჰყავს ხუთი შვილი.		
არ უყვარს ზედმეტი ქება.		
ჰყავს და და დედა.		
სხვისი ამბების წაკითხვა სურს.		
უნდა, რომ მკითხველებმა კომენტარები დაუწერონ.		
მუშაობდა თითქმის ყველა ტიპის მედიაში.		
ფიქრობს, რომ ბლოგის წერა საინტერესოა.		

4 წაიკითხეთ ბლოგები კიდევ ერთხელ და იპოვეთ:

ა. მკითხველთან (სტუმართან) მისასალმებელი თავაზიანი ფრაზა:

_____

ბ. იუმორით დაწერილი ფრაზა გარეგნობისა და ხასიათის შესახებ:

_____

5 ა. დაუკვირდით მოცემულ მაგალითებს და ბლოგებიდან ამოწერეთ შესაბამის სვეტში, რა უყვართ ნინოსა და დაჩის:

1	2	3
დედა	ცეკვა	ფილმების ყურება

ბ. მიუწერეთ შესაბამისი სვეტის ნომერი:

მიყვარს + სახელზმნა ☐

მიყვარს + სახელი (სახელობითი ბრუნვა) ☐

მიყვარს + სახელი (+ბრუნვის ნიშანი /თანდებული) + სახელზმნა ☐

გ. დაიყავით ჯგუფებად და მოიფიქრეთ 5-7 ფრაზა კონსტრუქციით:

მიყვარს .....

არ მიყვარს .....

თითოეული ჯგუფი ცდილობს, რაც შეიძლება მეტსიტყვიანი ფრაზა მოიფიქროს,

მაგალითად

მიყვარს ჭრელი ტანსაცმლის ტარება, მიყვარს ქალაქის ძველი უბნების დათვალიერება...

გამარჯვებულია ის ქვეჯგუფი, რომელსაც სამ და მეტსიტყვიანი ფრაზების მეტი რაოდენობა აქვს.

6 ა. დაწერეთ საკუთარი თავის შესახებ რამდენიმე ფრაზა.

მაგალითად

ცხოვრობდით რომელიმე საინტერესო ადგილას;
გიყვართ რამე განსაკუთრებულის კეთება;
გქონდათ საინტერესო სამუშაო;
გყავთ საინტერესო და განსაკუთრებული ნაცნობები და სხვა.

ბ. დაიყავით წყვილებად. საკუთარი თავის შესახებ ჩანიშნული ინფორმაცია გაუცვალეთ მეწყვილეს. მეწყვილე იტყვის, რა გაიგო ახალი და საინტერესო თქვენ შესახებ.

ბლოკი 2

სოციალური ქსელები

1 **რომელ სოციალურ ქსელს იყენებთ?**
რისთვის იყენებთ სოციალურ ქსელებს (მეგობრობა, ინფორმაციის წყარო, პროფესიული ინტერესები, ბიზნეს ინტერესები და სხვ.)?

2 **წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელი ფრაზაა სწორი ბლოგის ავტორთან დაკავშირებით:**

ა. ბლოგის ავტორი დიდ დროს ატარებს სოციალურ ქსელში.

ბ. ბლოგის ავტორს უნდა ფეისბუქის გაუქმება.

გ. ბლოგის ავტორის აზრით, გუგლპლიუსი ფეისბუქზე უკეთესია.

დ. ბლოგის ავტორს ფეისბუქი თამაშებისთვის სჭირდება.

Facebook-ის ექაუნთი რომ გაუქმდეს



მას შემდეგ, რაც მეგობარმა ბლოგერმა დამთაგა მორიგ ბლოგერულ ტეგთამაშში, იძულებული ვარ, პოსტი დავწერო იმის შესახებ, როგორ შეიცვლება ჩემი ცხოვრება, თუ ფეისბუქის ექაუნთი გამიუქმდება.

რა მოხდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ექაუნთი არ იარსებებს:

1. დეპრესია დამეწყება. ეს ჩემთვის იგივეა, რაც საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩენა.
2. ვეღარ გავიგებ, რა ხდება საქართველოსა და მსოფლიოში. საინფორმაციო გადაცემების ყურება მე არ მიყვარს და ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო ჩემთვის ფეისბუქია.
3. მომიწევს ჩემგან დაწუნებულ გუგლპლიუსზე გადაბარგება.
4. ვეღარ დავეკონტაქტები ვირტუალურ მეგობრებს.
5. ვეღარ ვიპოვი თანამოაზრეებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

ეს უარყოფითი მხარეები იყო, თუმცა დადებითიც არანაკლები იქნება, მაგალითად:

1. დავუბრუნდები წიგნების კითხვას, რაც არ მიმიტოვებია, თუმცა კითხვის ტემპმა აშკარად მოიკლო ბოლო სამი წელია, რაც ფეისბუქს ვიყენებ.

2. უფრო მეტ დროს დავუთმობ რეალურ მეგობრებს.

3. არ გავათენებ კომპიუტერთან და ოჯახშიც ნაკლები უკმაყოფილება იქნება ჩემს ხანმოკლე ძილთან დაკავშირებით.

4. და ბოლოს, ვინც არ იცით, გეტყვით: ფეისბუქის გაუქმებული ექაუნთის აღდგენა შესაძლებელია. ასე რომ, თუ გამიუქმდება, ბევრს არაფერს დავკარგავ. არ გადავალ გუგლპლიუსზე, შევალ ფეისბუქზე და 2–3 წუთში აღვადგენ.

http://www.temuchinn.com/2011/08/facebook.html

3 **დაასახელეთ სამი მიზეზი, რატომ არის ფეისბუქზე ყოფნა მნიშვნელოვანი ბლოგის ავტორისთვის:**

_____

_____

_____

4 **ა. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ისრით დაუკავშირეთ ერთმანეთს:**

ექაუნთი	ჩანაწერი
დამთაგა	ურთიერთობა მექნება
დავეკონტაქტები	დამასახელა
პოსტი	ანგარიში

ბ. როგორ ამბობთ, სოციალური ქსელების ამ ტერმინებს თქვენს ენაზე?

5 **ა. წაიკითხეთ ფრაზები პირველ ცხრილში და მონიშნეთ, რომელია სწორი (✓) და რომელი - არასწორი (X):**

1 ფეისბუქის ექაუნთი აქვს		2 თუ ფეისბუქის ექაუნთი არ ექნება
ახალ ამბებს არ იგებს ფეისბუქიდან.		
ფეისბუქით ეკონტაქტება ვირტუალურ მეგობრებს.		
ბევრ დროს უთმობს რეალურ მეგობრებს.		
ფეისბუქზე ყოფნით ეწყება დეპრესია.		დაეწყება დეპრესია.
ღამეს ათენებს კომპიუტერთან.		
ფეისბუქზე ყოფნით უბრუნდება წიგნების კითხვას.		

ბ. დააკვირდით ხაზგასმულ ზმნებს. ტექსტში მოძებნეთ ამავე ზმნების სხვა ფორმები და მათი დახმარებით შეავსეთ მეორე ცხრილი: რა მოხდება, თუ ბლოგის ავტორს ფეისბუქი არ ექნება.

გ. რომელ დროს გამოხატავს ცხრილებში მოცემული ზმნების ფორმები?

ცხრილი 1 .....

ცხრილი 2 .....

დ. ქვემოთ მოცემული ფრაზები ჩასვით სათანადო ადგილას და შეადგინეთ ფორმულა:

ზმნისწინი	მომავალი დრო	ახლანდელი დრო

[ ] + [ ] = [ ]

6 რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სოციალური ქსელი? მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ან რა უარყოფითი მხარე აქვს სოციალური ქსელების წევრობას:



ბლოკი 3

ვლოგი

1 ა. შეავსეთ ასოციოგრამა:



ბ. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.1 და 4.2). იმუშავეთ წყვილებში და ჩამოწერეთ, რა მახასიათებლები აქვს ვლოგს:

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.1) კიდევ ერთხელ და უპასუხეთ კითხვებს:

ა. როდის არის გადაღებული ვლოგი?

ბ. სად მიდის ვლოგის ავტორი?

გ. რამდენი ხელმომწერი ჰყავს ავტორს?

3 ვიდეოჩანაწერის (4.1) მიხედვით მონიშნეთ (√) სწორი ინფორმაცია:

ავტორი ყოველ წელს ხვდება ახალ წელს ბაკურიანში.	
ავტორი მეორე წელია ახალ წელს ხვდება ბაკურიანში.	
ავტორი ყოველთვის სახლში ხვდება ახალ წელს.	

4 მოუსმინეთ ნაძვის ხის აღწერილობას (ვიდეოჩანაწერი 4.1) და შემოხაზეთ შესაბამისი სიტყვები ყუთში:

არც ისე დიდი		ძალიან დიდი
ძალიან ლამაზი		ულამაზო
არც ისე პატარა	კოხტა	ლამაზად მორთული
ძალიან გამართული		კარგად მართული

5 შეაჯამეთ ვლოგზე ინფორმაცია და შეადარეთ თქვენ მიერ ნანახი ორი ვლოგი:

რა იყო ჩემთვის საინტერესო ვლოგში 4.1?	რა იყო ჩემთვის საინტერესო ვლოგში 4.2?	ახალი ინფორმაცია ვლოგზე, რომელიც არ ვიცოდი, მაგრამ ახლა ვიცი.

6 გადაიღეთ მოკლე ვლოგი თქვენ შესახებ: აჩვენეთ და აღწერეთ თქვენი საყვარელი ნივთი.

ბლოკი 4

სოციალური ქსელების უარყოფითი მხარე

1 ნახეთ ვიდეოჩანაწერები (4.3 და 4.4).

ა. რა არის ამ ვიდეოების მიზანი?

- ◯ სოციალური ქსელების პოპულარიზაცია;
- ◯ გაფრთხილება სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით;
- ◯ სოციალურ ქსელებზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

ბ. რა არის ვიდეოჩანაწერების მთავარი აზრი? მონიშნეთ შესაბამისი ფრაზა:

- ◯ სოციალური ქსელები უსაფრთხო არ არის;
- ◯ სოციალური ქსელები იცავს პერსონალურ ინფორმაციას;
- ◯ სოციალური ქსელები საინფორმაციო სივრცეა.

2 **ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.3) და ჩამოთვლილ ფრაზებში იპოვეთ არგუმენტები სოციალური ქსელების უარყოფით მხარეზე:**

საჯარო სივრცეა
შეიძლება არ იცოდეთ, ვის ელაპარაკებით
მეგობრები გეკონტაქტებიან
ინფორმაცია ჟონავს
ფოტოების საიდუმლოდ შენახვა შეიძლება
პირადი ინფორმაცია დაცულია
შეიძლება თქვენს პირად ცხოვრებაში შემოაღწიონ
სოციალურ ქსელებში ყოველთვის მარტო ხართ

3 **მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.4) და ქვემოთ ჩამოწერილ სიტყვებს/ფრაზებს მიუწერეთ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები/ფრაზები ვიდეოდან:**

ა. პირადი სივრცე .....

ბ. საფრთხისგან თავის დაცვა .....

გ. ადამიანი, რომელიც სხვას ადვილად ენდობა .....

დ. წაიკითხონ ინფორმაცია პირადი სფეროს შესახებ .....

ე. გაიაზრეთ საფრთხე .....

ვ. ადვილად სანახავი .....

4 **მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.4) და ჩაანაცვლეთ მოცემული ფრაზა სინონიმური ფრაზით ვიდეოჩანაწერიდან:**

სოციალური ქსელები საჯარო სივრცეა, ასე არ არის?

_____

5 **ა. დაიყავით ორ ჯგუფად, ჩამოწერეთ თქვენი არგუმენტები:**

ჯგუფი ა: სოციალური ქსელების დადებითი მხარეები.

ჯგუფი ბ: სოციალური ქსელების უარყოფითი მხარეები.

ბ. გამართეთ დისკუსია არგუმენტების მეშვეობით და დაუსაბუთეთ მოწინააღმდეგე ჯგუფს თქვენი პოზიცია.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა V

თეატრი, კინო

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტის ძირითადი ინფორმაცია მისთვის საინტერესო თემების შესახებ;
შემსწავლელს შეუძლია ფილმის ან სპექტაკლის ანონსიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება.

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფილმის ან სპექტაკლის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ვრცელი ანონსიდან (ფილმის მოკლე შინაარსით).

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია მარტივი ფრაზებით ისაუბროს მისთვის საყვარელ ფილმსა თუ სპექტაკლზე, მსახიობსა და რეჟისორზე.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია დაწეროს ნანახი ფილმის ან სპექტაკლის მოკლე შინაარსი მარტივი ფრაზებით.

გრამატიკა / ლექსიკა

- მეორე კავშირებითი ქმედებისადმი მოწოდების ფუნქციით;
- წყვეტილში -ე დაბოლოების მქონე ზმნების მეორე კავშირებითის ფორმის წარმოება.

- ფილმის შინაარსის (ამბის) მოსაყოლად საჭირო მასტრუქტურირებელი ფრაზები.

ბლოკი 1 – ფილმის პრემიერა
ბლოკი 2 – რომელი ფილმი ან სპექტაკლი მოგწონთ?
ბლოკი 3 – თეატრში
ბლოკი 4 – ფაბულა



ბლოკი 1

ფილმის პრემიერა

1 **ა. დააკვირდით კადრს და მოიფიქრეთ, რომელი კულტურული ღონისძიების შესახებ შეიძლება იყოს ეს ვიდეოსიუჟეტი?**

ბ. რის შესახებ არის სიუჟეტი? ნახეთ სიუჟეტი (ვიდეოჩანაწერი 5) და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი. მონიშნეთ სწორი ვარიანტი. მიუწერეთ ფრაზები, რომლებიც გაამყარებს თქვენს ვარაუდს.

თბილისის კინოფესტივალის შესახებ.	
ფილმის პრემიერა თბილისის კინოფესტივალზე.	
მსახიობის დებიუტი ფილმში.	

2 **ნახეთ ვიდეოჩანაწერი (5) კიდევ ერთხელ. კითხვებს ისრით დაუკავშირეთ პასუხები:**

1. რა ჰქვია ფილმს?	ვენეციის კინოფესტივალის საკონკურსო სექციაზე „ჰორიზონტები“.
2. ვინ არის რეჟისორი?	რევაზ კიკნაძე.
3. რა ჰქვია ღონისძიებას?	„კრედიტის ლიმიტი“.
4. სად აჩვენეს ფილმი პირველად?	ნუცა ალექსი-მესხიშვილი.
5. ვინ არის ფილმის კომპოზიტორი?	ფილმის პრემიერა თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალზე.

3 **ვიდეოჩანაწერის (5) მიხედვით მონიშნეთ სწორი ფრაზები:**

	სწორია
ეს ფილმი არის საქართველოს, იტალიისა და საფრანგეთის ერთობლივი პროდუქტი.	
გადაღებები გრძელდებოდა 5 კვირის მანძილზე.	
კოსტიუმებსა და მხატვრობაზე მუშაობდნენ სალომე ალექსი-მესხიშვილი და სიმონ მაჩაბელი.	
ეს ფილმი არის მელოდრამა.	

4 **ნახეთ ვიდეოჩანაწერი (5) კიდევ ერთხელ და გაარკვიეთ, ვინ არის მთავარი გმირი და რას აკეთებს:**

„ ..... მთავარი გმირი ..... წლის ნინოა, რომელიც წარსულში კარგად ცხოვრობდა და ახლაც იგივე უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ამიტომ ..... ვალს იღებს და საბოლოოდ რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდება. “

5 **ნახავდით თუ არა ამ ფილმს? ამოწერეთ ის ფრაზები, რომელთა გამოც გაგიჩნდათ ან არ გაგიჩნდათ ამ ფილმის ნახვის სურვილი.**

ბლოკი 2

რომელი ფილმი ან სპექტაკლი მოგწონთ?

1 **გაეცანით ქვემოთ მოცემულ აფიშებს და გაარკვიეთ:**

	აფიშა 1	**აფიშა 2**	**აფიშა 3**
რისი აფიშაა (სპექტაკლი, ფილმი, კონცერტი)?			
დასახელება (სათაური)			
ჟანრი			
ვინ არის რეჟისორი?			
ვინ თამაშობს მთავარ როლში? ვინ არის სოლისტი/დირიჟორი?			
კიდევ რომელი მსახიობები მონაწილეობენ?			
თარიღი და დრო			
ბილეთის ფასი			

აფიშა 1

X ადამიანები - ლოგანი:

რეჟისორი: ჯეიმს მენგოლდი
როლებში: დორის მორგადო, ჰიუ ჯეკმანი, დაფნი კინი, ბოიდ ჰოლბრუკი

ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი, ფანტასტიკა, დრამა
ასაკობრივი კატეგორია: R
ხანგრძლივობა:135 წთ.

გახმოვანება: ქართული

3 მარტი – 5 მარტი

კინოთეატრი

	დარბაზი	**დრო**	**ფასი**
ამირანი	დარბაზი 3 RUS	16 : 30	10 – 11 ლ.
	დარბაზი 1 RUS	19 : 30	13 – 14 ლ.
	დარბაზი 3 RUS	22 : 00	13 – 14 ლ.
კავეა ისთ ფოინთი	დარბაზი 2	13 : 00	9 – 10 ლ.
	დარბაზი 7 ENG	14 : 00	9 – 10 ლ.
	IMAX RUS	15 : 15	19 ლ.
	დარბაზი 2	16 : 15	10 – 11 ლ.
	IMAX RUS	19 : 00	19 ლ.
	დარბაზი 8 ENG	19 : 00	13 – 14 ლ.
	დარბაზი 2 RUS	19 : 25	13 – 14 ლ.
	IMAX ENG	21 : 45	19 ლ.
	დარბაზი 2	22 : 30	13 – 14 ლ.

აფიშა 2



მარჯანიშვილის თეატრი

უსახელო ვარსკვლავი

რეჟისორი: ლევან წულაძე
მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ანკა ვასაძე, კონსტანტინე როინიშვილი, დემეტრე სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 150 წუთი

თარიღი:	**დარბაზი:**	**დრო:**	**ფასი:**
3 მარტი	დიდი სცენა	20 : 00	14 – 16 ლ.

აფიშა 3



19:00 – **ნინო ქათამაძე/ჯგუფი INSIGHT** – (ბილეთის ფასი: აივანი –15, 20, 25, 30 ლარი; პარტერი: 35, 45, 55, 80 ლარი)

თბილისის საკონცერტო დარბაზი: მელიქიშვილის ქ. 1, ინფო: 298–76–82

თარიღი: 10 მარტი

2 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.1) და გაარკვიეთ შემდეგი ინფორმაცია:**

ა. რომელ თეატრშია სპექტაკლი?

_____

ბ. ვინ არის რეჟისორი?

_____

გ. რა არის სპექტაკლის ფაბულა?

_____

_____

3 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.1) კიდევ ერთხელ და ამოწერეთ, რომელი ფრაზებით გამოხატავენ დიალოგის მონაწილეები შემდეგ მოსაზრებებს:**

ა. დრო არ მქონდა .....

ბ. მოვიფიქრებ, ზუსტად არ ვიცი .....

გ. დრო მალე გავიდა .....

დ. ნამდვილად ვიცი .....

ე. სულ ერთად ყოფნა უნდოდათ .....

ვ. თითქმის .....

ზ. ჰქონდათ დავა, დისკუსია .....

4 **ა. მონიშნეთ, მოცემული წინადადებებიდან რომლები გამოხატავს მოწოდებას რაიმე ქმედებისკენ (პირველი პირის მრავლობითი რიცხვის იმპერატივი/ბრძანებითი)?**

- ◯ მოდი, წავიდეთ, რა.
- ◯ დიდხანს გაგრძელდა?
- ◯ მოდი, ამ კვირასაც ვნახოთ.
- ◯ მომავალ კვირასაც არ გეცლება?
- ◯ არ მცალია.
- ◯ მოდი, დავრეკოთ და გავიგოთ, რომელ საათზეა სპექტაკლი.

ბ. გაუსვით ხაზი სიტყვას, რომელიც საერთოა ამ წინადადებებისთვის და გამოხატავს ქმედებისკენ მოწოდებას?

გ. არის თუ არა ასეთი სიტყვა/ფრაზა თქვენს ენაში?

დ. მოწოდების გამომხატველ წინადადებებში ხაზი გაუსვით კონკრეტული ქმედების გამომხატველ ზმნებს.

ე. მიუწერეთ თქვენ მიერ ხაზგასმულ ზმნებს შესაბამისი ფორმა წყვეტილის მწკრივში:

მაგალითად

დავრეკოთ - დავრეკეთ

..... — .....

..... — .....

..... — .....

ვ. დააკვირდით ზმნებს ე დავალებაში და იპოვეთ გამონაკლისი.

ზ. დააკვირდით რეგულარულ ზმნებს ე დავალებაში და შეავსეთ წესი:

თუ ზმნა წყვეტილში ბოლოვდება -ე სუფიქსით, სურვილის გამომხატველ ფორმას აწარამოებს ..... სუფიქსით.

5 გაეცანით ქვემოთ მოცემულ აფიშებს, მოიფიქრეთ, თქვენ სად გინდათ წასვლა და დაარწმუნეთ მეგობარი, რომ ერთად წახვიდეთ. გამოიყენეთ ფრაზები „მოდი“ კონსტრუქციით.

ჯონ უიკი 2

სეანსები - კავეა ისთ ფოინტი

ორშაბათი - 13 თებერვალი

ყვითელი ანგელოზი

რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი

4 ნოემბერი
18:00 საათი

ლალა ლენდი

ლალა ლენდი

ჟანრი: მიუზიკლი, მელოდრამა, დრამა, კომედია
რეჟისორი: დემიენ შაზელი
როლებში: რაიან გოსლინგი, ემა სტოუნი, ემი კონი, ტერი უოლტერსი, ტომას ჯეფერსონი
პრემიერა საქართველოში: 12.01.2017
მსოფლიო პრემიერა: 31.08.2016
IMDB რეიტინგი: 8.9
ასაკობრივი კატეგორია: PG - 13
ბიუჯეტი: 30000000

სეანსები - კავეა ისთ ფოინტი

კვირა - 12 თებერვალი

ბლოკი 3

თეატრში

1 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (5.2, 5.3 და 5.4). გაარკვიეთ, თითოეულ მათგანში როდის ან სად ხდება მოქმედება. ჩაწერეთ ცხრილში შესაბამისი აუდიოჩანაწერის ნომერი:**

მოქმედება ხდება სპექტაკლის დროს	მოქმედება ხდება სალაროსთან	მოქმედება ხდება სპექტაკლის ნახვამდე

2 **ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.2) და გაარკვიეთ:**

1. რომელი სპექტაკლისთვის ყიდულობს ბილეთებს მაყურებელი?

2. როდის არის სპექტაკლი (დღე და საათი)?

3. რამდენი ბილეთი უნდა მყიდველს?

ბ. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.2) კიდევ ერთხელ და ჩაინიშნეთ შემდეგი ინფორმაცია:

1.რამდენი ბილეთი უნდა მყიდველს? .....

2.რამდენლარიან ბილეთებს ირჩევს ის? .....

3. რამდენს იხდის ის ჯამში ამ ბილეთებში? .....

4. რამდენია საკომისიო? .....

5. ბარათით იხდის თუ ნაღდი ფულით? .....

გ. შეავსეთ დიალოგები აუდიოჩანაწერის (5.2) მიხედვით:

რამდენი ბილეთი ..... ?

9 ბილეთი .....

რამდენლარიანი ..... ? გვაქვს 10, 16 და 22-ლარიანი ბილეთები.

აი, ...

..... ხურდა 3 ლარი და თქვენი ბილეთებიც.

3 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.4) კიდევ ერთხელ და გაარკვიეთ:**

ა. რატომ დააგვიანა ანამ სპექტაკლზე?

ბ. რამდენი ხნით დააგვიანა ანამ?

4 **ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.3) და ჩამოწერეთ ანას არგუმენტები და თიკოს არგუმენტები :**

ანას არგუმენტები:

თიკოს არგუმენტები:

ბ. აუდიოჩანაწერიდან (5.3) ამოწერეთ ქმედებისკენ მოწოდების გამომხატველი ზმნები და ფრაზები:

5 დაარწმუნეთ მეგობარი, რომ წამოვიდეს იმ სპექტაკლზე / ფილმის ჩვენებაზე, რომელიც თქვენ მოგწონთ. გამოიყენეთ მოწოდების ფრაზები.

ბლოკი 4

ფაბულა

1 დააკვირდით ვებგვერდს: რა დანიშნულება აქვს მას?



სამი მსახიობის მიერ გათამაშებული ღიმილისმომგვრელი „ფსიქოლოგიური კომედია“ თანამედროვე ხელოვნებაზე. თემურ ჩხეიძე სპეკტაკლის შესახებ ...ერთხელ „არტზე“ ვთქვი, იდეალური იქნება სპექტაკლის შემდეგ მსახიო ბებს თუ კითხავენ, კი მაგრამ აქ რეჟისორმა რა გააკეთა, ვერ გავიგეთო?! არ ვიცი, ვერ გეტყვით, რა ჰქვია ამას, ან როგორ ხდება. . . გააჩნია სად, რომელ სპექტაკლში რა არის საჭირო. არის სპექტაკლები, სადაც რეჟისორი არ უნდა ჩანდეს. არის სპექტაკლები, სადაც ის მინიმუმ არ უნდა გაწუხებდეს. „არტს“ არ სჭირდება არც ერთი „მეტაფორა.“ სხვა სპექტაკლში შეიძლება მეტაფორა აუცილებელი იყოს. ისე, ეგ იგივეა, რომ თქვა: სადაც ფორტეა, იქ არის დირიჟორი და კომპოზიტორი, სადაც პიანოა, იქ თავისით, უნებურად უკრავს ორკესტრიო.

2 წაიკითხეთ პირველ დავალებაში მოცემული აფიშა და გაარკვიეთ:

ა. რისი აფიშაა?

ბ. რა არის სათაური?

გ. როდის არის ეს ღონისძიება? იპოვეთ თარიღი და დრო.

3 გადახედეთ სპექტაკლის შესახებ ინფორმაციას და მონიშნეთ, რაზეა სპექტაკლი:

ა. თანამედროვე ხელოვნების შესახებ.

ბ. სამ მეგობარს შორის კონფლიქტზე.

გ. სამი მეგობრის პროფესიის შესახებ.



კვირა, 22 იანვარი
20:00 საათი, 6 ლარიდან

კვირა, 29 იანვარი
20:00 საათი, 6 ლარიდან

სამი მეგობრის პორტრეტი

ინტრიგამოკლებული სათაური, ნაკლებად ცნობილი დრამატურგი, გაცვეთილი პრობლემები... მაგრამ ბრწყინვალე რეჟისორი და მხოლოდ სამი მსახიობი. ამ სინთეზით თემურ ჩხეიძემ მარჯანიშვილის თეატრში პრემიერაზე მაყურებელი მოხიბლა.

სამი მეგობრის პორტრეტი

რა შეიძლება სამ განსხვავებულ მამაკაცს წლობით აკავშირებდეს?
რა თქმა უნდა, მეგობრობა.
რა შემთხვევაში შეიძლება სამი საათის განმავლობაში სცენაზე მხოლოდ სამ მსახიობს გაუძლო?
როცა ისინი უნაკლოდ თამაშობენ.

მარჯანიშვილელთა წლევანდელმა პრემიერამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ კარგ რეჟისორსა და კარგ მსახიობებს მაშინაც შეუძლიათ მაყურებლის მოხიბვლა, როცა სცენიდან ძალზე გაცვეთილ პრობლემებზე გვესაუბრებიან.

თემურ ჩხეიძემ ფრანგი დრამატურგის, იასმინა რიზას, ერთმოქმედებიან პიესაზე „ხელოვნება“, ალბათ, უფრო იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ გვერდით სამი კარგი მსახიობი ეგულებოდა. ზურაბ ყიფშიძე, მიშა გომიაშვილი და ალეკო მახარობლიშვილი იმ სამ მამაკაცს განასახიერებენ, რომლებიც განსხვავებული ინტელექტისა თუ ტემპერამენტის შესაბამისად მათ შორის წარმოქმნილ კონფლიქტს ასევე განსხვავებულად დაძლევენ. დაპირისპირების მიზეზი, როგორც ყოველთვის, უმნიშვნელოა. გაცილებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ფაქტისა თუ პერსონის შეფასების კრიტერიუმების დადგენა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თანამედროვე ხელოვნების თაყვანისმცემელმა, პროფესიით ექიმმა-დერმატოლოგმა, სერგო (მიშა გომიაშვილი) ანტრიაძემ, „შედევრი“ - ჩარჩოზე კარგად გადაჭიმული თეთრი ტილო საკმაოდ ძვირად იყიდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას მხოლოდ სნობური ამბიციები არ ამოძრავებდა. სინამდვილეში „ანტრიაძის თეთრი“ მხოლოდ ტილოს ნაჭერია თუ მასში ფერთა ფართო სპექტრი უნდა შევნიშნოთ – ანუ შეიძლება თუ არა თანამედროვე ხელოვნებას იმავე კრიტერიუმებით მივუდგეთ, რითაც კლასიკურ ხელოვნებას ვაფასებთ? ერთი შეხედვით უმტკივნეულო თემებზე კამათმა ნელ-ნელა კულმინაციას მიაღწია და საბოლოოდ კონფლიქტში გადაიზარდა. კლასიკური ხელოვნების მოტრფიალე მამია, რომელსაც ნიჭიერ ავიაინჟინრად იცნობენ (ზურაბ ყიფშიძე), არათუ უარს არ ამბობს საკუთარ პრინციპებზე (მისთვის „ანტრიაძის ტილო“, მეტი რომ არა ვთქვათ, ნაგავია), არამედ მზადაა, მრავალწლიან მეგობრობას წერტილიც კი დაუსვას. როგორ იქცევა მესამე – ქსოვილების სპეციალისტი, რომელიც ამჟამად საკანცელარიო საქონლის საბითუმო ვაჭრობაშია დაკავებული – ივანე (ალეკო მახარობლიშვილი) ან იმდენადაა დაკავებული თავისი პრობლემებით, ან იმდენად ინდიფერენტული გახლავთ ბუნებით, რომ ცალ-ცალკე ორივეს ეთანხმება და მზადაა, საბოლოოდ ჯოხი მასზე გადატყდეს, შემდეგ კი თავი იმით დაიმშვიდოს, რომ მომხდარზე ფსიქოთერაპიის სეანსზე იმსჯელოს. ირონია ზიგმუნდ ფროიდის მიმართ შემთხვევითი არაა. სინამდვილეში ამ ირონიის მიღმა დოქტორ ფროიდის გავლენა იგრძნობა და საკითხი ასე კი არ უნდა დავსვათ – თანამედროვე ხელოვნება სძლევს კლასიკურს თუ პირიქით, არამედ ასე – რამ გამოიწვია სინამდვილეში დაპირისპირება (იქნებ სიძულვილიც) სამ მეგობარს შორის? მაგრამ ფსიქოანალიტიკოსების პროგნოზი არ გამართლდება: ცინიკოსმა მამიამ, ლიბერალმა სერგომ და მიამიტმა ივანემ ამბიციები დაიოკეს და. . . ერთად მიდიან სავახშმოდ. მათ ჭეშმარიტებასთან მეგობრობას პლატონთან მეგობრობა არჩიეს, თუმცა არც ჭეშმარიტების დაგმობას აპირებენ.

სოფიო თოდუა

4 **ტექსტის მიხედვით, შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით:**

რეჟისორი:	
მთავარი როლის შემსრულებლები: (ჩაწერეთ ის სახელებიც, რომლითაც მსახიობები მონაწილეობენ სპექტაკლში).	
დაპირისპირების მიზეზი:	
შერიგების გზა:	

5 **წაიკითხეთ ინფორმაცია წარმოდგენის შესახებ და მიუსადაგეთ ფრაზები თანამიმდევრულად:**

თავდაპირველად	ხელოვნებაზე დაწყებული კამათი გამწვავდა და კონფლიქტში გადაიზარდა.
შემდეგ	ანტრიაძემ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშში.
ამასობაში	მეგობრები თავიანთ აზრზე დარჩნენ, მაგრამ შეიცვალეს დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.
საბოლოოდ	მამია მზად არის გაწყვიტოს ბავშვობის მეგობრობა პრინციპების გამო. ივანე ინდიფერენტულია და ორივეს ეთანხმება.

6 **იმუშავეთ წყვილებში: მოუყევით მეწყვილეს იმ ფილმის ან სპექტაკლის შინაარსი, რომელიც ბოლოს ნახეთ. მოყოლისას დაიცავით შემდეგი სტრუქტურა და გამოიყენეთ შესაბამისი ფორმის ზმნები:**



© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

თემა VI

უცხოელები და საქართველო

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტელე- და რადიოგადაცემების მთავარი არსი, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს.

კითხვა:
შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში მოიპოვოს მისთვის საინტერესო მარტივი ინფორმაცია და გაიგოს მისი მთავარი აზრი.

ლაპარაკი:
შემსწავლელს შეუძლია სხვებს მოუყვეს იმის შესახებ, თუ რომელ ენებს ფლობს, როგორ და რატომ ისწავლა ესა თუ ის ენა. მას შეუძლია უპასუხოს ამ თვალსაზრისით მისთვის დასმულ შეკითხვებს. მას თავადაც შეუძლია სხვას ჰკითხოს ანალოგიური ინფორმაცია.

წერა:
შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მარტივი ისტორიის მოყოლა.

გრამატიკა / ლექსიკა

მიზეზის ახსნა (კონსტრუქცია „იმიტომ, რომ“);
საპირისპირო აზრის გადმოცემა კავშირით „მაგრამ“;
ირიბი ნათქვამი -ო ნაწილაკით.

ბლოკი 1 - საქართველოში მცხოვრები უცხოელი
ბლოკი 2 - ინტერვიუ ჯოზეფ სმიტთან
ბლოკი 3 - იაპონელი ქართველოლოგი
ბლოკი 4 - როგორ ვსწავლობ ენას?

ბლოკი 1

საქართველოში მცხოვრები უცხოელი

1 **როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს ჯოზეფი საქართველოში?**

ჯოზეფ სმიტი: მე ბრიტანელის სხეულში ჩასახლებული ქართველი ვარ

2 გადახედეთ ტექსტს და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი:

1 პირველად 2011 წელს ვეწვიე თქვენს ქვეყანას ტურისტის რანგში და მაშინვე მომინდა მისი ახლოს
2 გაცნობა. საქართველომ მაშინვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თბილისში ნოემბერში
3 ჩამოვედი, მაგრამ გარეთ ჯერ ისევ ანათებდა მზე და სასიამოვნოდ თბილოდა. ლონდონში კი
4 თბილი ზამთარი არ არსებობს — ის ყოველთვის თოვლიან-ყინვიანია, შემოდგომა — ძალიან
5 წვიმიანი.
6 საქართველოს შესახებ ინფორმაცია მოვიძიე და უაღრესად საინტერესო და უნიკალურ ანბანს
7 გადავაწყდი, აღმოვაჩინე განსაკუთრებულად გემრიელი სამზარეულო და, რაც მთავარია,
8 ხაჭაპური. მოკლედ, საქართველო ისე მომეწონა, რომ აქ ცხოვრება მომინდა... თავიდან სამუშაოს
9 პოვნა გამიჭირდა, მერე კი ინგლისური ენის პედაგოგად დავიწყე მუშაობა თბილისის ერთ-ერთ
10 ენის ცენტრში.
11 განსაკუთრებული კულტურული შოკი არ განმიცდია იმიტომ, რომ მანამდე ეგვიპტის გარდა
12 სირიაშიც ვცხოვრობდი, აზერბაიჯანშიც, ლიბანშიც და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებშიც. შოკი იცით,
13 რისგან დამემართა? როცა ჩემმა აქაურმა უფროსმა სამსახურის შემდეგ რესტორანში დამპატიჟა და
14 იქ ორივე გვარიანად გამოვთვერით. ინგლისელისთვის, ცოტა არ იყოს, რთული წარმოსადგენია
15 საკუთარ უფროსთან ერთად მაგიდასთან ჯდომა და ქეიფი.
16 განათლებით ჟურნალისტი ვარ, მაგრამ ამ საქმიანობას ხელი პირველად სწორედ აქ,
17 საქართველოში მოვკიდე, აქ შევძელი ჩემს სფეროში რეალიზება. თავიდან საიტებზე ვაქვეყნებდი
18 რაღაც სტატიებს საქართველოს შესახებ, მერე კი თანდათანობით გადავინაცვლე ბეჭდვით
19 მედიაში და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, მაგალითად, Georgia Today-ში „შევაღწიე“. გავიდა
20 კიდევ ცოტა ხანი და საქართველოს შესახებ უკვე საერთაშორისო ფორმატში დავიწყე წერა The
21 Guardian-ისთვის. მოგვიანებით რადიოჟურნალისტიკასაც მოვკიდე ხელი. არ იცით, როგორი
22 ძვირფასია ჩემთვის რადიოეთერისთვის გაკეთებული ჩემი პირველი ჩანაწერი. მაშინ ლაგოდეხში
23 ბრაკონიერებზე და უკანონო ნადირობაზე ვამზადებდი მასალას გერმანულ საერთაშორისო
24 რადიოსადგურ Deutsche welle-სთვის.
25 რადიოში დღემდე ვმუშაობ. ორშაბათობითა და ოთხშაბათობით ინგლისურ ენაზე მიმყავს
26 გადაცემა სახელწოდებით Life and Five რადიო „ჯიპაში“. გადაცემის მთავარი თემა საქართველოსა
27 და თბილისში მიმდინარე კულტურული ღონისძიებებია, მაგრამ ექსპერტებთან და გადაცემის
28 სტუმრებთან ერთად ხშირად იმ თემებსაც ვიხილავთ, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობას აღელვებს.
29 ზაფხულობით, საკუთარი სიამოვნებისთვის, გიდად ვმუშაობ და ტურისტებს თბილისს
30 ვათვალიერებინებ. მომწონს ეს საქმე და მინდა, რომ ერთხელ ჩამოსული ადამიანები კვლავაც და
31 კვლავაც დაბრუნდნენ ამ ქვეყანაში, ამ ქალაქში იმიტომ, რომ თბილისს მშობლიურ ქალაქად
აღვიქვამ.

ქართული ენა ერთ-ერთი ყველაზე რთულია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე შემისწავლია. მიმაჩნია, რომ სადაც ცხოვრობ, იმ ქვეყნის ენა აუცილებლად უნდა იცოდე. ჰოდა, მეც ჩავუჯექი. დღემდე ვსწავლობ ქართულს და ვაუმჯობესებ მას. ეს საჭიროა იმიტომ, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა, ელემენტარულად, სამსახურში მოწყობაშიც ეხმარება ადამიანს, საზოგადოებასთან შერწყმაშიცა და აქტიურ მოქალაქეობაშიც. იცით, ქართულის ცოდნა პირადად ჩემთვის თუნდაც იმისთვის ღირდა, რომ იოსებ გრიშაშვილის წიგნი „ძველი ტფლისის ლიტერატურული ბოჰემა“ წამეკითხა. ამ წიგნმა კიდევ მეტად შემაყვარა თბილისი.

რატომღაც ტაქსის ყველა მძღოლი მეკითხება, გამისინჯავს თუ არა ხაჭაპური. ოთხი წელია აქ ვცხოვრობ და, აბა, არ შევჭამდი? ხან იმასაც მეკითხებიან, საქართველო თუ გიყვარსო? უცნაური შეკითხვაა. რახან საცხოვრებლად ავირჩიე, ესე იგი, მიყვარს. იცით, ამ ქვეყანასთან მე ბევრად მეტი მაკავშირებს, ვიდრე ხაჭაპური და ღვინო. ეს ღრმა, მისტიკური კავშირია. მომწონს და მხიბლავს ქართველების გულღიაობა, სტუმართმოყვარეობა და სითბო.

3 **ა. წაიკითხეთ ტექსტი (დავალება 2) და მიუწერეთ სრტიქონის ნომრები.**

რა მოსწონს საქართველოში?	
განათლება	
პროფესია	
რატომ ისწავლა ქართული?	
რა არ მოსწონს საქართველოში?	

ბ. ტექსტის მიხედვით:

1. როგორ გესმით ფრაზა "კულტურული შოკი"?

_____

2. იპოვეთ ტექსტში, როდის განიცადა ჟოზეფმა კულტურული შოკი?

_____

3. გაიხსენეთ, თქვენ თუ განგიცდიათ კუტურული შოკი და რომელ ქვეყანაში?

_____

4 **ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული კავშირები <u>იმიტომ, რომ</u> ან <u>მაგრამ</u>:**

ა. დღემდე ვსწავლობ ქართულს და ვაუმჯობესებ მას. ეს საჭიროა ..... სახელმწიფო ენის ცოდნა, ელემენტარულად, სამსახურში მოწყობაშიც ეხმარება ადამიანს, საზოგადოებასთან შერწყმაშიცა და აქტიურ მოქალაქეობაშიც.

ბ. ერთხელ ჩამოსული ადამიანები კვლავაც და კვლავაც დაბრუნდნენ ამ ქვეყანაში, ამ ქალაქში, ... თბილისს მშობლიურ ქალაქად აღვიქვამ.

გ. გადაცემის მთავარი თემა საქართველოსა და თბილისში მიმდინარე კულტურული ღონისძიებებია, ... ექსპერტებთან და გადაცემის სტუმრებთან ერთად

ხშირად იმ თემებსაც ვიხილავთ, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობას აღელვებს.

დ. განათლებით ჟურნალისტი ვარ, ... ამ საქმიანობას ხელი პირველად სწორედ აქ, საქართველოში მოვკიდე.

ე. განსაკუთრებული კულტურული შოკი არ განმიცდია ..... მანამდე ეგვიპტის გარდა სირიაშიც ვცხოვრობდი, აზერბაიჯანშიც, ლიბანშიც და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებშიც.

ვ. თბილისში ნოემბერში ჩამოვედი, ... გარეთ ჯერ ისევ ანათებდა მზე და სასიამოვნოდ თბილოდა.

5 **იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად, შეადარეთ მე-3 დავალების თქვენეული ვარიანტები და დაუსაბუთეთ მეწყვილეს თქვენი აზრი.**

6 **დააკვირდით მე-4 დავალებაში მოცემულ წინადადებებს და შეავსეთ წესი.**

როდესაც ორ წინადადებაში საპირისპირო აზრია მოცემული, გამოიყენება კავშირი

..... . ხოლო, როდესაც მეორე წინადადება გამოხატავს პირველი

წინადადების მიზეზს, გამოიყენება კავშირი ..... .

ბლოკი 2

ინტერვიუ ჯოზეფ სმიტთან

1 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (6.1) და შეავსეთ ინფორმაცია ჯოზეფ სმიტის შესახებ:**

რა პროფესიის არის ჯოზეფი?	
რამდენი წელია, რაც საქართველოშია?	
რა მოსწონს საქართველოში?	
რატომ წუწუნებს იგი?	
საიდან ჩამოვიდა ჯოზეფი საქართველოში?	

2 **როგორ ახასიათებს (აუდიოჩანაწერი 6.1) ჯოზეფი საქართველოს? მონიშნეთ, რა გესმით:**

- ◯ მყუდრო;
- ◯ სტუმართმოყვარე;
- ◯ ცივი;
- ◯ ხმაურიანი;
- ◯ მწვანე;
- ◯ ნაცრისფერი.

3 ჩამოთვალეთ, რას აკეთებს ჯოზეფი საქართველოში?

4 ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერიდან (6.1) ნაწყვეტს იმის შესახებ, თუ რა გაიგო ჯოზეფმა საქართველოს შესახებ აზერბაიჯანში ყოფნის დროს და მონიშნეთ, რა გესმით:

- ○ ცივილიზაციაააო;
- ○ ცივილიზაცია;
- ○ ჭამენ;
- ○ ჭამენო;
- ○ წერენ;
- ○ წერენო.

ბ. საიდან გაიგო ჯოზეფმა ეს ინფორმაცია?

გ. რატომ ამბობს ჯოზეფი ზმნებს -ო დაბოლოებით?

5 დაჯგუფდით სამეულებად. პირველმა სტუდენტმა უთხრას მეორეს ყურში, რა იცის საქართველოს შესახებ, ხოლო მეორემ უთხრას მესამეს, რაც გაიგო პირველისგან.

მეორემ გამოიყენოს -ო ნაწილაკიანი ფორმები, რადგან ეს ინფორმაცია პირველისგან იცის.

ბლოკი 3

იაპონელი ქართველოლოგი

1 იმუშავეთ წყვილებში: როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს „ქართველოლოგი“? რა არის ამ ტერმინის შესატყვისი თქვენს ენაში?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.2) და გაარკვიეთ, რა პროფესიის არის იასუჰირო კოჯიმა:

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.2) კიდევ ერთხელ და დანომრეთ თანმიმდევრულად, რა თემებზე საუბრობს იასუჰირო:

- ◯ სამუშაო ადგილი
- ◯ ენები
- ◯ საკუთარი სტუდენტების რაოდენობა
- ◯ სწავლა უნივერსიტეტში

4 ვიდეოჩანაწერის (6.2) მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

ა. რომელი ენები იცის იასუჰირომ?

_____

ბ. როდის და რატომ დაინტერესდა ქართული ენით?

_____

_____

_____

5 დაიყავით წყვილებად და მოუყევით მეწყვილეს შემდეგი ინფორმაცია:

რამდენი ენა იცით?

რატომ და როგორ ისწავლეთ ეს ენები?

რომელი სახელმძღვანელოთი დაიწყეთ ქართული ენის სწავლა?

მოგწონთ თუ არ მოგწონთ ეს სახელმძღვანელო და რატომ?

ბლოკი 4

როგორ ვსწავლობ ენას?

1 ა. როგორ სწავლობთ ქართულს ან როგორ ისწავლეთ სხვა ენები? ჩამოწერეთ თქვენი ჩვევები / „აღმოჩენები“:

მაგალითად: ახალ სიტყვებს ვწერ ბარათებზე და ვაწებებ მაცივრის კარზე.

_____

_____

_____

_____

ბ. გამოჰკითხეთ სხვა ჯგუფელებს მათი ენის სწავლის ჩვევების შესახებ და ჩაიწერეთ საინტერესო „აღმოჩენები“:

2 წაიკითხეთ კატო ლომბის მიერ შემუშავებული რჩევები და მონიშნეთ, რამდენი მათგანი ემთხვევა თქვენ მიერ პირველ დავალებაში ჩამოწერილ პუნქტებს.

10 რჩევა ადამიანისგან, რომელმაც 16 უცხო ენა იცის

კატო ლომბი (Kató Lomb) პროფესიონალი თარჯიმანია უნგრეთიდან, რომელიც ფლობდა 16 უცხო ენას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ენათა უმრავლესობა მან შეისწავლა დამოუკიდებლად, სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის დახმარებით. მისი პრინციპი ენის შესწავლასთან დაკავშირებით ასეთია: გრამატიკის შესწავლა ორიგინალი ტექსტების კითხვის პარალელურად და ფრაზების დაზეპირება, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება საუბრისას. წიგნში, „როგორ ვსწავლობ უცხო ენებს“, მან ჩამოაყალიბა ენის შესწავლის 10 წესი:

1. ვმეცადინეობ ყოველდღიურად. თუ ძალიან დაკავებული ვარ, მაშინ 10 წუთს მაინც ვუთმობ დღეში. განსაკუთრებით კარგია მეცადინეობა დილით.

2. თუ სწავლის სურვილი სწრაფად იკლებს, ზედმეტ ძალას არ ვატან თავს, მაგრამ მთლიანად არ ვწყდები მეცადინეობას. მოვიფიქრებ ხოლმე რაიმე განსხვავებულ ფორმას: გადავდებ წიგნს და ვუსმენ რადიოს, ვანებებ თავს სავარჯიშოებს, გადავფურცლავ ლექსიკონს და ა.შ.

3. არასოდეს არ ვიზეპირებ, არ ვსწავლობ არაფერს იზოლირებულად, კონტექსტის გარეშე.

4. ვიწერ და ვსწავლობ „მზა ფრაზებს“, რომლებიც შესაძლებელია ხშირად გამოვიყენო.

5. ვცდილობ, გონებაში ვთარგმნო ყველაფერი, რაც შესაძლებელია: უცაბედად შემჩნეული სარეკლამო აბრა, წარწერა აფიშაზე, ყურმოკრული საუბარი. ეს დასვენებაა, ძალიან გადაღლილი გონებისთვისაც კი.

6. საფუძვლიანად ვსწავლობ მხოლოდ იმას, რაც შეასწორა მასწავლებელმა. არ გადავიკითხავ გაუსწორებელ სავარჯიშოებს, მრავალჯერ გადაკითხულ ტექსტს უნებურად ვიმახსოვრებ დაშვებულ შეცდომებთან ერთად.

7. ვიწერ „მზა ფრაზებს“, იდიომებს და ვიმახსოვრებ მხოლობითი რიცხვის პირველ პირში. მაგალითად: ჩემს ჭიას ვახარებ.

8. უცხო ენა ციხესიმაგრეა, რომელსაც ალყა უნდა შემოარტყა ყველა მხრიდან: გაზეთების კითხვა, რადიოს მოსმენა, ლექციებზე სიარული, სახელმძღვანელოების დამუშავება, გადაწერა, უცხოელ მეგობრებთან შეხვედრები და საუბარი.

9. არ მეშინია უცხო ენაზე საუბარის, არ მეშინია, რომ შეცდომებს დავუშვებ, უბრალოდ ვითხოვ, რომ შემისწორონ შეცდომები. და რაც მთავარია, არ ვნერვიულობ და არ ვიბუტები, თუ მითითებენშეცდომებზე.

10. დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად მივაღწევ მიზანს, რომ მაქვს მტკიცე ნებისყოფა და უცხო ენების შესწავლის არაჩვეულებრივი ნიჭი.

კატო ლომბის წარმატების ფორმულა:

დახარჯული დრო + ინტერესი = შედეგი

და ბოლოს, 86 წლის კატო ლომბი შეხვდა თავის 54 წლის მეგობარს და წარმოთქვა მის ცხოვრებაში გადამწყვეტი ფრაზა: სტივ, თქვენ ისეთი ახალგაზრდა ხართ! იმდენი წელი გაქვთ წინ, რამდენი ენის შესწავლა შეგიძლიათ!

(წყარო: http://studinfo.edu.aris.ge/2015/01/13/10-რჩევა-ადამიანისგან-რომე/)

3 **გადახედეთ კატო ლამბის რჩევებს და გაარკვიეთ:**

ა. დღის რომელ მონაკვეთში ურჩევნია მას მეცადინეობა?

ბ. მინიმუმ რამდენ ხანს მეცადინეობს ყოველ ჯერზე?

გ. რას აკეთებს, როცა ეზარება მეცადინეობა?

დ. როგორ სწავლობს ის სიტყვებს/ზმნებს?

ე. რას აკეთებს ის ენის შესასწავლად მეცადინეობის გარდა?

ვ. როგორი არის მისი სტრატეგია შეცდომების მიმართ?

4 **გამოჰკითხეთ ჯგუფელს, როგორ სწავლობს ქართულს და შეავსეთ კითხვარი. შემდეგ შეცვალეთ როლები:**

ა. დღის რომელ მონაკვეთში მეცადინეობ? გაუსვით ხაზი:

დილით, დღისით, საღამოს, ღამით.

ბ, რა სიხშირით მეცადინეობ? (გაუსვით ხაზი და შეავსეთ):

ყოველდღე (რამდენი წუთი?)
დღეგამოშვებით
კვირაში ორჯერ
კვირაში ერთხელ
ორ კვირაში ერთხელ

გ. რას აკეთებ, როცა იღლები ან გბეზრდება მეცადინეობა?

დ. როგორ სწავლობ სიტყვებს?

5 დაიყავით ჯგუფებად, შეაგროვეთ მონაცემები ერთმანეთის ენის სწავლის ჩვევების შესახებ და დაწერეთ თქვენეული 10 წესი კატო ლომბის მიერ შემუშავებული წესების მსგავსად.

„როგორ ვსწავლობთ ქართულს“ - 10 წესი:



www.geofl.ge